ქანა. რაო, ციკოა? სისულელეა ეს შენი ბანქოს თამაში. ხელმწიფეზე ძლიერი ღმერთის გარდა ვინღა უნდა იყოს?

შარლი. ციკო. სწორედ ტუზი. ტუზი კარტების ღმერთია. ოღონდ ყველა ბანაკს თავისი ღმერთი ჰყავს. აი, ხომ ხელად ჭერის ტუზი, გულის ტუზი, ყვავის ტუზი, ავურის ტუზი. ყოველ ბანაკს თითო ტუზი ჰყავს. ეტყობა, შენს სოფელში ბევრი არაფერი იციანი შენ რა, ხომ არ გგონია, რომ ინგლისელები ჩვენზე ნაკლები გულმოდგინებით ლოცულობენ? შენ გგონია, მათ არა ჰყავთ ღმერთი, რომელიც მათ იფარავს და გამარჯვებას აძლევს? ან ჩემი კუზენი, ბურგუნდიის პერცოვი! მასაც თავისი საკუთარი პატარა ღმერთი ჰყავს ბურგუნდიისათვის, სულ ჩვენნაირი, ძალიან ყოჩაღი და ეშმაკი ღმერთი და ის ღმერთი ყოველთვის ახერხებს გასაჭირიდან ჰერცოვის გამოყვანას. ღმერთი, შვილო ჩემო, ყველასთან არი. იგი მსაჯია, ქულებს ითვლის. ხოლო საბოლოოდ ის მუდამ მათთან არი, ვისაც მეტი ფული აქვს და მეტი ჭარი ჰყავს. რატომ და რის იმედით მოისურვე, რომ ღმერთი საფრანგეთის მხარეზე იყოს, საფრანგეთს რა გააჩნია?

ქანა. (ხმადაბლა) იქნებ სწორედ იმიტომ, რომ არაფერი გააჩნია, შარლ.

შარლი. (მხრებს აიწეხავს) შენ, აბა, ღმერთი არ გცოდნია!

ქანა. ვიცი, შარლ, და შენზე უკეთეს ვიცი. ღმერთი მამაცთან არი და არა ძლიერთან, იგი მათთან არის, ვინც სხვაზე ბულადია, ამაშია აზრი. ღმერთს ლაჩრები არ უყვარს.

შარლი. მაშინ არც მე მკვარებივარ. და თუ მე არ ვუყვარა ვარ, მე რატომღა უნდა მიყვარდეს? მას ხომ სულ ადვილად შეუძლია მამაცად მაქციოს, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა

ქანა. (მკარალ) შენ რა, ღმერთი შენი ძიძა ხომ არ გვინა?
ღმს შენ ვარდა საზრუნავი არავინ ჰყავს? შენ თვითონ არ შეგიძლია
საკვირდებლისმებრ მოიხმარო ის, რაც ღმერთს შენთვის მოუცია?
მართალია. შენ ისეთი ღონიერი ხელებით არ დაგაჭილდოვებ, როგო-
რაც ბატონ ლა ტრემუის აქვს და მეტისმეტად გრძელი და გამხდა-
რი ფეხები გამოვება...

შ არ ლ ი. შემამჩნიე? კი, შექმლო ღმერთს ჩემთვის ცოტა
უკეთესი ხელ-ფეხი შეეხვედრებინა. ამას განსაკუთრებით ახლანდელ-
ლი მოდის გამო ვგრძნობ. რომ იცოდე, ამ ფეხების პატრონს აგ-
ნესა არასოდეს არ შემეყვარებ. ღმერთს რომ თვალთი კარგად
ვაეზომა, წვრილ ფეხებზე ვეება ბარძაყებს მაინც არ დამადგამდა...

ქანა. ამაში მართალი ხარ. ბარძაყებზე ვულუხვობა გამო-
უჩნდება. მაგრამ უფალმა შენ სხვა რამეც მოგცა: შენს საძაგელ პა-
ტრია თავში პაწაწინა ღვთაებრივი ნაპერწკალი ჩაავლო და ის
ნაპერწკალი გამსგავსებს უფალს. შენ შეგიძლია კარგადაც გამო-
იყენო ის ნაპერწკალი და ცუდადაც, შარლ, ამაში უფალი სრულ-
თავისუფლებას გაძლევს. შენ შეგიძლია იგი ბანქოს თამაშისათვის
საც გამოიყენო და წვრილმანებში არქივბისკოპოსის გასაბამულუბ-
სადაც. მაგრამ შენ შეგიძლია იგი იმისთვისაც გამოიყენო, რომ
აღმაღლო სახლი შენი და გააძლიერო სამეფო შენი ვაპარტახებუ-
ლი. შენ უმცროსი ღვთაებისაგან ვაუი გყავს. რას დაუტოვე
ვაუიშვილს შენი სიკვდილის შემდეგ? ინგლისელების გამობრუნ-
საუბრეების ნაგლეხს? ნუთუ არ გრცხვენია? როცა შენი შვილი
გაზრდება, შენსავით იტყვის, ღმერთმა ჩემთვის არ მოიცილა
სინამდვილეში კი შენ არ მოიცილე მისთვის. შენი შეილისთვის
ხომ შენა ხარ ღმერთი. შენი ვაჟის გამო პასუხს შენ აგებ. უფალმა
მოგცა მეფობა, დიდი ტვირთი განდო. საწუწუნო არაფერი გაქვს
ეს უდიდესი მოწყალებაა, რისი მოღვაწეც უფალს შექმლო.

შ არ ლ ი. (ღენისის) მაგრამ რა ექნა, ხომ გითხარი, რომ ყველ-
ღრისა მეშინია!

ქანა. (უახლოვდება) მე შენ გასწავლი, შარლ, გაგიმხელ, რა
ხერხიც ვიცი, ოღონდ იცოდე, არავის უთხრა. მეც ყველაფერს
მეშინია. შენ იცი, ბატონ ლა ტრემუის რატომ არ ეშინია არაფერს?

შ არ ლ ი. იმიტომ რომ ღონიერია.
ქანა. არა, იმიტომ რომ ბრაცივია. იმიტომ რომ ჰყავს არა აქვს
ამიტომ არ იციან შიში არც გარეულმა ტახებმა, არც ხარებმა. ჩემ-

თვის აქ მოსვლა უფრო საძნელო იყო, ვიდრე შენთვის შენი სამე-
ფოს აღდგენა. მე იძულებული ვიყავი ყოველივე ამეხსნა მამა-
ჩემისათვის, რომელსაც ეგონა, რომ ჭარისკაცების კახა ვხდებო-
დი. მან მცემდა, იცოცხლე მამაჩემმა ცემა იცის! ყველაფერი შედა-
ნებლია და მამაჩემის დარტყმა ინგლისელების დარტყმებზე მტკი-
ვნეულია. დედაჩემის ტირილსაც გავუძელი. შეუძლებლად მეჩვენ-
ებოდა ბღენძი ბოდრიკურის დაყოფილება: გონდაკარგულივით რომ
ჰყრიდა და თავი ბოროტი აზრებით ჰქონდა გამოტენილი... შენა
გვინა, არ მეშინოდა? შიშისაგან გული მიმდიოდა.

შ არ ლ ი. მერე რა გზას დააფიქრე?
ქანა. მე წარმოვიდგინე, თითქოს არ მეშინოდა. ეს იყო და
ეს, შარლ, შენ მხოლოდ ერთხელ სინჯე. უთხარი შენს თავს: „მარ-
თალია მეშინია, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა და სხვას არავის
ვეკითხები. ჰოდა, დაიწყე მოქმედება“ და შენ იწყებ მოქმედებას.
ხოლო თუ შენ წინაშე რამე დაუძლეველს ხედავ...
შ არ ლ ი. მაგალითად, აღრიცხვებულ ლა ტრემუის...

ქანა. თუნდაც მაგას, თუნდ ორღენისის სიმამრებში მაგრად
ჩამქდარ ინგლისელებს, ასე უნდა იმსჯელო: „რა ვუყოთ, რომ
ისინი ჩვენზე მეტნი არიან, გარს სქელი კედლებიც არტყაოთ, ზარ-
ბაზნებიც ჩვენზე მეტი აქეთ და მშვილდ-ისარიც. დე ასე იყოს.
მეშინია, შინში ერთხელ მაგრად ავცახტადები, აი, ასე და მორჩა.
მერე კი შიში რომ გამივლის, მე თვითონ დავცხებ“. მოპირდაპირე
გხედავს, რომ შენ არ გეშინია, მაშინ მას თვითონ აიტანს შიში,
შენ უშიშრად მათ რიგებს გაარღვევ და გაიმარჯვებ, იმიტომ რომ
მათზე ჰკვიანი ხარ, მათზე გონიერი და იცი, რომ შენი წილი შიში
ერთხელ უკვე ჰამე და გაათავე. ეს არის და ეს მთელი საიდუმლო.
შ არ ლ ი. მაგრამ მტერი თუ მაინც უფრო ძლიერია.
ქანა. ეგ არაფერს არ ნიშნავს, რომ სხვაზე ძლიერი იყო. მე
ერთხელ ჩემს სოფელში ბრაკონიერი ბიჭი ვნახე. ბატონის მა-
მულში გარბოდა და ორი უშველებელი ძალღი მისდევდა. ბიჭი
უცებ შეჩერდა, დაელოდა, ეცა ყელში და ორივე წაახრჩო, ჯერ
ერთი, მერე მეორე.
შ არ ლ ი. მერე არ დაკბინეს?
ქანა. როგორ არა. სასწაული არ ხდება, დაკბინეს და მერე
როგორ. მაგრამ მან მაინც თავისი გააკეთა. ძაღლები მაინც დაახ-
რჩო. ღმერთმა კი ამ ძაღლებს პატარა ბრაკონიერზე გაცილებით

მეტო ძალა მისცა, მაგრამ უფალმა ადამიანს მისცა ის, რაც მას ცხოველზე ძლიერს ხდის. ამიტომაც პატარა ბრაკონიერი შეჩერდა, შიში დაძლია და თავისთავს უთხრა: „მეყოფა, შიში გვათავაშე. უფს არ მოვიცვლი. სანამ ორივეს არ გავვუღაღავ“.

შ არ ლ ი. სულ ეს არის?

ქ ა ნ ა. ჰო, სულ ეს არის.

შ არ ლ ი. (გულგატეხილი) ეს რა ჯაღოა!

ქ ა ნ ა. (ღმობლით) არა, ეს ჯაღო არ არის. მაგრამ ადამიანისთვის ესეც საკმარისია. უფალი ადამიანებისაგან არაჩვეულებრივს არაფერს მოითხოვს. ოღონდ ადამიანი მასშივე მოთავსებულ იმ პაწაწა ნაპერწკალს უნდა მიენდოს, რომელიც თვითონ არის ღმერთი. საგნებს ცოტა ზევიდან უნდა უყურო. მერე კი ყველაფერი თავისთავად გავეთლება.

შ არ ლ ი. (ჩაუჩქრებული) შენ გგონია, ეს ხერხი ყოველთვის გასჭირს?

ქ ა ნ ა. ყოველთვის. რასაკვირველია, ამასთან ერთად ჰკვირანც უნდა იყო. მაგრამ ამ მხრივ შენ ყველაფერი რიგზე გაქვს. ჩემმა ბრაკონიერმა ბიჭმა ის დრო შეურჩია, როცა ძაღლებმა კურდღელი დინახეს და ერთმანეთი მიატოვეს. მაშინ იხელთა და ორივე რიგრიგობით დაახრჩო. მაგრამ მთავარი აი, რა არი: როცა შიშისაგან თავისუფლდები, გაქცევას თავს ანებებ და მტრისაკენ შემობრუნდები, ე, მაშინ მოდის ღმერთი შენთან. (დასძინს) მაგრამ შენ ხომ იცი, რა ხასიათიც აქვს ღმერთს. მას ყოველთვის ის სურს, რომ პირველი ნახიჯი შენ გადადგა.

შ არ ლ ი. (ბაუზის შემდეგ) მაშ, შენ საჭიროდ თვლი, რომ შენი ხერხი ვცადო?

ქ ა ნ ა. რა თქმა უნდა. ცდა ბედის მონახეგრეა.

შ არ ლ ი. (უცერად დააფრთხობს თავისივე გაბეღულება) ხვალ იყოს. მომეცი დრო მოვემზადო...

ქ ა ნ ა. არა, ახლავე, შენ მზადა ხარ.

შ არ ლ ი. მაშინ დავუძახნო არქიეპისკოპოსსა და ლა ტრეშე მუის, ვეტყვი, რომ მე შენ განდობ არმიის სარდლობას და ვნახთ, როგორ დაეკლანებათ ცხვირ-პირი.

ქ ა ნ ა. დავუძახნო.

შ არ ლ ი. მეშინია, შიშით ვიგულები.

ქ ა ნ ა. რაჟი ეგრეა, ყველაზე დიდი სიძინელე გადალახულია.

ახლა მთავარია, მათი გამოჩენისას აღარ გქონდეს შიში. მართლა ძალიან გეშინია?

შ არ ლ ი. (მუცელზე ხელს იჭერს) მეშინია და მერე როგორ!..
ქ ა ნ ა. მაშინ საქმე კარგად არის. შენ იმათ დაასწარი. იმათ რომ შიშის ზარი დაატყდებოდა, შენ შიში გავლილი გექნება. მთავარია, სხვაზე უწინ გაიარო შიში და ისიც ბრძოლის წინ. აი. ნახავ, ვეძახი. (მიღის სცენის სიღრმეში. ეძახის) ბატონო არქიეპისკოპოსო, ბატონო დე ლა ტრეშე! მის უდიდებულესობას, ბატონ ღოფინს სურს თქვენთან ლაპარაკი.

შ არ ლ ი. (ბანიკურად ყვირის, ფეხებს აბრახუნებს) ვაი, რა მეშინია!
უი, რა მეშინია!

ქ ა ნ ა. მიდი, მიდი, შარლ, უფრო მეტად, რაც ძალი და ღონე გაქვს!

შ არ ლ ი. (ცბოლბის რაჟინით) ამაზე მეტად აღარ შემიძლია!
ქ ა ნ ა. მაშინ ყველაფერი რიგზეა. ღმერთი შენ გიტქერის, ელიმება და ამბობს: „შარლს ეშინია, მაგრამ მინც ეძახის“, ერთ კვირაში ორლუანი ჩვენი იქნება, ჩემო ბიჭო! (გამოდინს გაოცებული არქიეპისკოპოსი და ლა ტრეშე).

არქიეპისკოპოსი. ჩვენ გვეძახით, თქვენო უდიდებულესობავ?

შ არ ლ ი. (უკანასკნელად შეაგლებს თვალს ენას, სულმოუთქმელად) დიახ, მე გადაწყვეტილება მივიღე, თქვენო უწმინდესობავ, გადაწყვეტილება, რომელიც თქვენც გეხებათ, ბატონო ლა ტრეშე. მეფის არმიის სარდლობას ვავალებ აქ მყოფ ასულს. (გადადის ყვირლზე) ხოლო თუ თქვენ ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, ბატონო ლა ტრეშე, ვთხოვთ მიბოძოთ თქვენი ხმალი. თქვენ დაპატიმრებული ხართ!

(ლა ტრეშე და არქიეპისკოპოსი ადგილზე გაქვავდნენ)

ქ ა ნ ა. (ბაშს შემოჰკრავს) ყოჩაღ, პატარა შარლ. ხომ ნახე, რა იოლი ყოფილა! შენ მაგათ სიფათებს შეხედე!.. არა, შენ მხოლოდ შეხედე მაგათ სიფათებს! შიშისაგან კედებიან! (ხარხარებს. შარლიც ხარხარს იწყებს. ორივე ხელბას ირტყამენ შარბაყებზე, გაშეშებულ არქიეპისკოპოსსა და ლა ტრეშეს უქაქრან და ვერ იოჯებენ სიცილს).
(ენა იჩოქებს) მადლობა შენდა, უფალო!

შ არ ლ ი. (ისიც იჩოქებს და უყვირის) დაიჩოქე, ბატონო ლა ტრეშე! დავკლოცე, არქიეპისკოპოსო, ოღონდ ჩქარა. ჩვენ არ

შეგვიძლია წუთის დაკარგვა!.. ახლა, როცა ყველამ საკმაო შიშით გაეაჩუღა, წინ, ორლენისკენ..

(თავხარდაცემისაგან ვაოგნებულ ლა ტრემში მუხლებზე ეშვება, დახეულა არქივისკომპოსი დაუფიქრებლად იწყებს დალოცვას).

ვარეიკი. (სენის სიღრმეში დაიწყო სიცილი და კომონისკენ მიდის წინ) სინამდვილეში მთლად ასე როდი იყო, საფრანგეთის მეფის კარზე საბჭო თათბირობდა, დიდხანს წონიდნენ და მსჯელობდნენ რა მანბი უნდა ვადეიდვით და ბოლოს ვითომ ხალხის ხმას დაუქმრეს, ვადაწყვიტეს ენა დროშად გამოეყენებინათ. ერთი სიტყვით, ენა ერთგვარ თილისმად იქცა იმისათვის, რომ უბრალო ხალხი გაებრუნებინათ და სასიკვდილოდ წაერეკათ. ხოლო ჩვენ, ინგლისელები, ჩვენს ბიჭებს იერიშის წინ ჭინის სამმაგ ულუფას ვაძლევდით. მაგრამ მაინც არ სჭირდა. იმ დღიდან სტრატეგიის ყველა კონონის საწინააღმდეგოდ დაგვეცხეს და შემოგვიტყეს. ამბობდნენ, თითქოს არავითარი ენას სასწაული არ ყოფილიყოს, რომ ორლენთან ჩვენი პოზიციები უნიკოდ იყო გამაგრებული და საჭირო იყო მხოლოდ იერიშის დაწყება, რაშიც ადვილად დაარწმუნეს არმანოელების ჯარის შტაბი. ეს ტყუილია. სერ ჯონ ტელბოტი ბრიყვი არ იყო და თავისი ხელობა კარგად იცოდა. ეს მან დაამტკიცა ორლენაზე შეტევის წინაც და შემდეგაც. თეორიულად მისი სიმაგრეუბის ქსელი აუღლებელი იყო. ამის გარდა სამართლიანაც უნდა ვიცოთ და ვაღიაროთ, რომ ბრძოლებში რაღაც უჩინარი ძალაც ვიყავით. ეს ღმერთი იყოს, თუ თქვენ ასე გსურთ, თქვენო უწმინდესობაზე, შტატები ღმერთს ანგარიშში არასოდეს არ ითვალისწინებდნენ... თუ გნებავთ, ეს იყო ტოროლა, რომელიც ჯარისკაცებს თავს დამღეროდა საფრანგეთის კიდან. პირადად მე, თქვენო უწმინდესობაზე, ძალიან მიყვარს საფრანგეთი. ამიტომ ჭავრი თომ-კლავს, ის რომ დავკარგოთ. საფრანგეთი განსახიერებულია იმ წმიდა წკრიალში, პაწაწა ტოროლას ამ მზიარულ და უაზრო სიმღერაში, როცა ფრთოსანი ცაზე, მზის სხივებში წამით ჩერდება და გულში სასიკვდილო ისარი ხედება (დასძენს), ეს არის ყველაზე ძვირფასი, რაც საფრანგეთს ახადია. განა საფრანგეთს ცოტა ჰყავს ბრიყვები, უნიკოები და არამზადები? მაგრამ დროდადრო მის ცაზე გამოჩნდება ხოლმე ტოროლა და მათ არსებობას გვაეჩუყებს. მე ძალიან მიყვარს საფრანგეთი.

კოშონი. (ხმადალა) ჰო, მაგრამ თქვენ ხომ მას კლავთ. ვარეიკი. აღამიანი წინააღმდეგობათაგან არის შექმნილი, ბატონო უპისკობო. ჩვენ ხშირად ვკლავთ მას, რაც გვეყვარს. მე, მაგალითად, ცხოველებზე ვეჩუდები და ამავე დროს ნადირობისთვის მესხის ვკარგავ. (უძებ მაკრი ხდება; წამოდგება; ფეხსამელებზე სტებს ირტყამს, ორ ჯარისკაცს ანიშნებს) ტოროლა გეგება, კომპინენის მახეში მოხვდა. ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელი გათამაშებულია. შარლსა და მის კარს ენასკენ არც მიუხედავს, ისე მიატოვეს თილისმა, რომელსაც თითქოს ბედნიერება აღარ მოაქვს მათთვის და ძველ ნადავლს პოლიტიკას უბრუნდებიან.

(მართლაც, შარლი, ლა ტრემში და არქივისკომპოსი წამოდგნენ, თვლით აარიდეს და გაეცაღნენ ენას, რომელიც დაჩოქილ განაგრძობს დალოცვას, შემდეგ წელში გაიმართება, გაოცებულია იმით, რომ მარტოდმარტო დარჩა და შარლი დახმავის სახით მიდის. წამოდგება, გულზეს გაჟყავს ენა).

კოშონი. (უყვირის, ხაზს უსვამს მომხდარ ამბავს). შენი მეფე გტოვებს, ენა, რატომ ჯიუტობ, რატომ იცავ მას? შენ გუშინ წაგვიტყხეს ყველა ქალაქში დაგზავნილი მისი წერილი. ამ წერილით მან გილაღატა და გავცა.

ენა. (პაუზის შემდეგ, წყნარად) მაგრამ ის მეფეა ჩემი.

შარლი. (ჩუმად არქივისკომპოსს) ისევ ამ წერილს გვაყვედრიან.

არქივისკომპოსი. (ჩუმად) წერილი აუცილებელი იყო, სირ, ახლანდელ გარემოებაში საფრანგეთის საქმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაკავშირებული ენას სახელთან.

კოშონი. მომისმინე კარგად, ენა, და ეცადე გამოგო. შენი მეფე ჩვენი მეფე როდია. ყველა წესის მიხედვით შედგენილი ხელშეკრულების ძალით ჩვენი მეფე გახდა ჰენრი მეექვსე ლანკასტერელი — მეფე საფრანგეთისა და ინგლისისა. აქ ჩვენ პოლიტიკური ბროციე არა გვაქვს. ამ წუთას ჩვენ გვინდა, ჩვენი სინდისის კარნახს დავემორჩილოთ და რაც არ უნდა მოხდეს, დავუბრუნოთ გზაბანეული ცხვარი წმინდა ეკლესიის წიაღს. მაგრამ ჩვენ მაინც ადამიანები ვართ, ენა. ჩვენ ჩვენს თავს ვთვლით მისი უდიდებულესობის ჰენრი მეექვსის ერთგულ ქვეშევრდომებად. საფრანგეთისაღმდეგ ჩვენმა სიყვარულმა, ისეთივე დიდმა და ისეთივე გულწრფელმა, როგორც შენი სიყვარულია, გვაიძულა ცნოთ ჰენრი მეექვსე ჩვენს უმაღლეს მმართველად, რათა საფრანგეთმა აღადგინოს დანგრეული, მოიშუშოს კრილობები და ბოლოს და ბოლოს

თავი დააწიოს ამ საშინელსა და დაუსრულებელ ომს, რომელსაც სისხლისაგან დაცალა იგი. არმინიელების ამო წინააღმდეგობა, ვისაც შენს მეფეს უწოდებ, მისი სასაცილო პრეტენზია ტახტის მიმართ, რომელიც მას არ ეკუთვნის, ამბოხი და ყაჩაღური მოქმედება ჩვენ მიერ თითქმის მიღწეული მშვიდობიანობის წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს გაიგე, რომ ტიციანა, რომელსაც შენ ემსახურებოდი, ჩვენი მბრძანებელი არ არის.

ქანა. რამდენიც უნდა ილაპარაკოთ, მინც ვერაფერს გახდებით. ღმერთმა ეს მეფე მოგვცა. რა ეუყუოთ, რომ გამხდარი, გრძელი ფეხები აქვს და ვეება ბარძაყები...

ქოშონი. (არქიპისკოპოსს ჩუმად) ბოლოს და ბოლოს ამის მოსმენა ჩემთვის უსიამოვნოა.

არქიეპისკოპოსი. (მიჰყავს იგი, ჩუმად ეუბნება) მოთმუნება, სირ, ესენი სწრაფად ჩაათავებენ პროცესს, კოცონზე დასწრევენ ქანას და ამის შემდეგ მოვისვენებთ. დამეთანხმეთ, რომ ინგლისელებმა სამსახური გავეწიეს, როცა თვითონ იკისრეს ზრუნვა მის შეპყრობასა და დასჯაზე. ისინი რომ არა, ალრე თუ გვიან, ჩვენ მოკვებდებოდა ამის გაკეთება. იგი აუტანელი ხდებოდა. (ცალკე ცალკე გინ ისევ დაბრუნდებიან და ხალხს შეუშინებულად შეგებვიან).

ქოშონი. (განავრძობს) შენ ხომ უღვწური არა ხარ, ქანა. შენ ეს დავერტყეც ბევრი კადნიერი პასუხით. წუთით შენი თავი ჩვენს აღვილს წარმოიდგინე. როგორ გინდა ამდენმა ხალხმა აღმოჩენილი გაგვებს მთელი სიღრმით აღიაროს, რომ შენ გამოგვხაგვს ღმერთმა იმ საქმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. როგორ გინდა დავეჭვოთ შენი ნათქვამი, რომ ხნობიერმა პარაპარებოდნენ და რომ ღმერთი ჩვენს წინააღმდეგ არის?

ქანა. თქვენ ამას ნახავთ, როცა საბოლოოდ დაგამარტებთ.

ქოშონი. (მხივს ნიჭიანს) შენ პატარა კერა გოგოსათვის მიმასუხებ. ჩვენ, როგორც იწვიდა საყდრის დამცველთ, რა კემშობიერ საბუთები გაგვაჩნია შენი სიტყვების დამადასტურებლად? იქნება გგონია, რომ შენ პირველმა გაიგონე ხმები?

ქანა. (წყნარად) არა, უთუოდ არა!

ქოშონი. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი ნუთუ გგონია, რომ ჩვენი მკლასია კიდევ იარსებებდა, თუ სოფლის საყდარში რომელიმე გოგოს ყოველ განცხადებას: „მე წინააღმდეგობას ვუწევდი, რომ შენს პირველმა გაიგონე ხმები“ დანი ან ქალწული მარიაში ვიხილე, ხმებს ეუსმინე, რომელსაც

დამავალეს ამისა და ამის გაკეთება“, კიურე დაიჭერებდა და ნებას დართავდა, რაც სურდა ის ეკეთებინა?

ქანა. არ ვიცი.

ქოშონი. რასაკვირველია, არ იცი, მაგრამ შენ გამჭრიახი გოგონა ხარ და მინდა ჩემთან ერთად იმსჯელო. შენ სარდალი იყავი, ქანა?

ქანა. (აპყავს გაიშარება წელში) კი, მე ესარდლობდი ასეულობით მამაც ვაჟკაცს, რომლებიც მომყვებოდნენ და ჩემი სწამდათ!

ქოშონი. ესე იგი, სარდლობდი. და აი, ერთ დღილს, შეტევის წინ, ერთ-ერთ შენს ჯარისკაცს რომ გაეგონა ხმები, რომლებიც მას დაარწმუნებდნენ, რომ იმ კარზე კი არ უნდა მიგეტანათ იერიში, რომელიც შენ აირჩიე, ან სულაც არ არი საჭირო იერიშითა, რას იზამდი?

ქანა. (წამით დაიბნევა, მერე სიცილო აუვარდება) აი, რას ნიშნავს, რომ თქვენ ხუცესი ხართ, ბატონო ეპისკოპოსო. თქვენ ახლოს არასოდეს ვინახავთ ჩვენი ჯარისკაცები. ის კი მართალია, რომ ვაჟკაცურად იბრძვიან და უგონოდ თვრებიან, მაგრამ მათ რომ ზემოთ გაიგონონ!..

ქოშონი. ხუმრობა პასუხად არასოდეს არ ითვლება, ქანა... მაგრამ შენ იმ წუთის მიმასუხებ, როცა ყოყმანობდი და არ იცოდი რა გეპასუხა. მაშ, იცოდე, რომ ეკლესია არის არმია ჯერ კიდევ ურწმუნოებითა და ბოროტი ძალებით სავსე დედამიწაზე. იგი ისევე უნდა დამოტრჩილოს ჩვენ უწმინდეს რომის პაპს და მის ეპისკოპოსებს, როგორც ჯარისკაცები უნდა დამოტრჩილებოდნენ შენ და შენს ოფიცერებს. და იმ ჯარისკაცს, რომელიც შეტევის დღეს განცხადებდა, ხმებმა მიჩივის, არ შეეუტოოთო, ყოველ არმიამი, და მათ შორის შენს არმიამიც აიძულებდნენ ხმა ჩაექმოდა. და ამას გაცილებით უფრო სასტიკად მოიმოქმედებდნენ, ვიდრე ჩვენ ემოქმედებთ შენ მიმართ.

ქანა. (მოიკრუნხება, თავს იცავს) მიტრყით მაგრად, თქვენ ამის უფლება გაქვთ, ხოლო მე იმის უფლება მაქვს, რწმენის უარყოფაზე არ დავეთანხმოთ.

ქოშონი. ეცადე სძლიო მედიდურებას, ქანა. შენ ძალიან კარგად გეხმის, რომ ჩვენ, როგორც აღამიანებსა და ეკლესიის მსახურებს, არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავიჭვროთ შენი

მისიის ღვთაებრივი წარმომავლობა. მხოლოდ შენ ერთსა გაქვს სა-
ფუძველი ეს დაიჭერო, ამაში ალბათ შენი დაღუპვის მსურველი
ეშმაკი გეხმარება. საფუძველი აქვს კიდევ მას, ვისაც თავის საჭი-
როებისთვის სურს შენი გაოყენება, თუმცა მათ შორის ყველა-
ზე გონიერებს შენი არასოდეს არ სჯეროდათ. ამის საუკეთესო
დადასტურებაა მათი დამოკიდებულება შენი დატყვევების მიმართ
და შენზე ხელის აღება. შენი არავის არა სწამს, ეხანა, უბრალო
ხალხის გარდა, რომელსაც ყველაფერი სჯერა და ხვალ სულ სხვის
იწამებს. შენ მარტო დმარტო ხარ.

(ესა არ პასუხობს, სულ პაწაწინა მოჩანს მათ შორის) არ გვეგონოს, შენი
გაუტეტელი წინააღმდეგობა, ხასიათის სიმტკიცე იმის მომასწავე-
ბელი იყოს, რომ ღმერთი შენს მხარეზეა. ეშმაკიც ჯიუტი და
ჰკვივანია. მანამდე, სანამ აჯანყდებოდა, იგი ყველაზე ჰკვივანი ანგე-
ლოსთავანი იყო.

ე ხ ა ნ ა. (პუტის შემდეგ) მე, ბატონო, ჰკვივანი არა ვარ. შე ისე-
თივე უბრალო სოფლელი გოგო ვარ, როგორიც ყველა. მაგრამ შავს
თუ ვხედავ, არ შემიძლია ვთქვა, რომ ის თეთრია. ეს არის და ეს.
(ისევ პუტა).

მ თ ხ რ ბ ე ლ ი. (მოულოდნელად ამოუდგება ზურგსკანი რა
ჯადოთი მოხიბლე მეფე. რატომ ვანდო მან თავისი ლაშქარი?

ე ხ ა ნ ა. შე უკვე ვილაპარაკე, აქ არავითარი ჯადო არ იყო.

მ თ ხ რ ბ ე ლ ი. მოსაჯადოებლად მანდრაგორა აქამე?

ე ხ ა ნ ა. არ ვიცი რა არის მანდრაგორა.

მ თ ხ რ ბ ე ლ ი. შხამით მოაჯადოვე ან შელოცვით. მაგრამ
შენს საიღუმლოს სახელწოდება აქვს და ჩვენ ამ სახელწოდების
გაგება გვიწევს. რა მიართვი შენს მეფეს შინონში, რომ უკებ გამო-
ბედობა მიეცა? ხომ არ აქვს იმ წამალს ძველებრათული სახელწო-
დება? ეშმაკი ყველა ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ სხვა ენებს ძველ-
ბრაული უბრუნდება.

ე ხ ა ნ ა. (ღმილით) არა, ბატონო, ეს სიტყვა ფრანგულად გა-
მოთქმის და თქვენ სწორედ ახლა ბრძანეთ იგი. გაბედობა, ან
რა ჩაუხერხე მეფეს.

კ ო შ ო ნ ი. მაგრამ ღმერთი ან ყოველ შემთხვევაში ის ძალიან
რომელსაც შენ ღმერთს ეძახი, არ მოწაწილეობდა მაგ საქმეებში.

ე ხ ა ნ ა. (სხვ ვაუწყობს) მე მგონია, ბატონო ეპისკოპოსო, რომ
ღმერთი ყოველთვის მონაწილე იყო ამ საქმის, როცა გოგონა რამ-

ღენივე გონიერ სიტყვას ამბობს და მას უსმენენ, ეს იმას ნიშნავს,
რომ ღმერთი იქ ახლოს არის. ღმერთი მფლანგველი როდია. სადაც
ერთი გროშის საღირაალი აზრი კმარა, იქ სასწაულებს როდი და-
ხარჯავს.

ლ ა დ ვ ე ნ ი უ. (წაწარად) აი, თქვენო უწმინდესობა, კარგი
და სათანო პასუხი, რომელსაც ჩვენ ვერ ჩავეწერთ მის წინააღმდეგ
გამოსაყენებლად.

მ თ ხ რ ბ ე ლ ი. (წამოღება, ღვარძლით აღესილი) ენახოთ! მაშ,
შენ არ გჯერა საღვთო წერილის სასწაულები? შენ უარყოფ, რომ
მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ სასწაული მოახდინა ქანაანში
ქორწილზე? შენ უარყოფ, რომ მან ლაზარე აღადგინა?

ე ხ ა ნ ა. არა, ბატონო, უფალმა ჩვენმა ალბათ გააკეთა ყოვე-
ლივე, რაკი ეს ნათქვამია მის წიგნში. მან აქცია წყალი ღვინოდ
ისევე, როგორც მანვე შექმნა წყალიცა და ღვინოც. მან ხელახლა
გააბა ლაზარეს სიცოცხლის ძაფი. მაგრამ სიცოცხლისა და სიკვდი-
ლის მეუფისათვის ეს ისევე ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო, რო-
გორც ჩემთვის თითისტარის ტრილი.

მ თ ხ რ ბ ე ლ ი. (ღრიალებს) გაიგონეთ, გაიგონეთ, რას ამ-
ბობს. სასწაული არ არისო!

ე ხ ა ნ ა. არა, ბატონო, მე მხოლოდ მგონია, რომ ნამდვილი
სასწაულები ფოქუსები ან თავშესაქცევი ვარჯიში როდია! ასეთებს
ჩემი სოფლის მოედანზეც აჩვენებდნენ ბოშები. ნამდვილი
სასწაულები, ცაში რომ უფალს მოსწონს და სიამოვნების ღმილს
გვრის, ის სასწაულებია, რომელთაც ადამიანები ახდენენ ღვთი-
სგანვე მინიჭებული ჰკუთთა და გაბედულებით.

კ ო შ ო ნ ი. უფიქრდები თუ არა შენს სიტყვებს, ეხანა? შენ
არხეინად გვეუბნები, რომ ქვეშარტი სასწაული უფლისა მიწაზეა
და იგი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანი. ადამიანი, რომელიც
მთლიანად შედგება ცოდვისა, ცთომილებისა, უმეცრებისა და
უღონობისაგან...

ე ხ ა ნ ა. მაგრამ აგრეთვე ძალისა, გამბედაობისა და ნათელგო-
ნიერებისაგან, მაშინაც კი, როცა იგი ყველაზე დავლახავებული
გვიჩვენება. ასეთები მე ოში მინახავს...

ლ ა დ ვ ე ნ ი უ. თქვენო უწმინდესობა, მართალია, ეხანა
უბრალოდ გამოთქვამს თავის აზრს, მაგრამ იგი სწორედ იმას
ამბობს, რასაც გული უკარნახებს, ყოველ შემთხვევაში, მისი აზრი

იმდენად გამოკვეთილი არ არის, რომ ჩვენი დიალექტიკის ფორმით წარმოვიდგინოთ. ჩვენი შეკითხვებით შესაძლებელია იგი ვიპოვოთ იმაზე მეტი გვითხრას, რის თქმაც სურს, ან ის გვითხრას, რაც არა სურს...

კოშონი. ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად სამართლიანად შევფასოთ უჩერბული გამოთქმები მის პასუხებში, ამოვლავენიუ, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ბოლომდე მივიყვანოთ მისი დაკითხვა. ესეც არ დავაიწყებდეთ, ჩვენ არც ისე დარწმუნებულნი ვართ, რომ საქმე მართო უანასთან გვაქვს. მაშასადამე, უანა, შენ ამართლებ ადამიანს. შენ მას თვლი ერთ-ერთ უდიდეს სასწაულად და ეგებ ერთადერთ სასწაულადაც.

უანა. დიახ.

მთხრობელი. (გონდაკარგული ყვირის) ეს ღვთის გამობაა. ადამიანი ტალახია, საზოგადოებაა, უხამსი მოჩვენებაა. მას ღამე სარეცელზე არ ასვენებს ცხოველური ნდომა...

უანა. დიახ, ბატონო, ადამიანი ცოდავს, იგი ბილწია, შემდეგ უცებ, კაცმა არ იცის რატომ (ძაან კი უყვარდა ამ ძალს ცხოვრება და ვისცრომა) გარყვნილების სახლიდან გაოსვლისთანავე მოახტება მის წინ მიმჭროლავ ცხენს, მიაჭიდებს უცნობი ბავშვის გადასარჩენად და ძელებდაღეწილი მშვიდად ლევს სულს; იგივე კაცი, რომელსაც ასე განცხრომაში გაატარა ღამე...

მთხრობელი. იგი მხეცივით ცოდვილი, დაწყევლილი კვდება, მღვდლისაგან უხიარებელი.

უანა. არა. იგი კვდება სახეგაბარწყინებული, განწყმენილი და უფალი მას ღმირით ელის, რადგან ორჯერ მოიქცა იგი ადამიანურად. როცა ბოროტს სჩადიოდა და როცა სიციეთს შვრებოდა, ხოლო უფალმა იგი სწორედ ამ წინააღმდეგობისათვის შექმნა.

(უანას სიტყვებზე აღშოთების გუგუნია ხუცესებს შორის).

ინკვიზიტორი. (ხელით ანიშნებს, რომ დაწყნარდნენ. უცროდ წამოიღება, მშვილი ხმით) უანა, მთელი პროცესის მანძილზე მე შენ გაცალე ლაპარაკი, თითქმის არ მომიცია შეკითხვები. მე მინდობდა, რომ შენ გული გადმოგეშალა. ეს დიდხანს გაგრძელდა. მთხრობელს ყველაზე ეშმაკი ეჩვენებოდა, ეპისკოპოსს — წარმატებით თაგბრუდასმული გოგოს მდიდურება, მე კი ველოდი, რომ შენ არჩეინი სიკიუტის, შენი კერპი შუბლის იქით სხვა რაღაც გამოჩნ-

დებოდა და აი, გამოჩნდა. მე აქ წმიდა ინკვიზიციას წარმოვადგენ, მე ინკვიზიციის ვიკარი ვარ საფრანგეთში. მისი უწყინდესობა ბატონი ეპისკოპოსი შენ ძალიან ჰუმანურად გელაპარაკებოდა, რომ იგი ინგლისელებთან დაკავშირებული საქმეა, რომელსაც იგი სამართლიანად თვლის და რომ მისი ადამიანური გრძნობები უერთდება გრძნობებს ეკლესიის იმ მსახურისა და მეთაურისა, რომელსაც მინდობილი აქვს დაიცვას ინტერესები წმიდა საყდრისა. პირველად ჩამოვედი ესპანეთიდან. პირველად ვარ აქ წარმოგზავნილი. მე არც ინგლისელების ბანაკი ვიცი, არც არმანიაკების. ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება საფრანგეთის მმართველი, შენი მეფე თუ ჰენრი მეექვსე ლანკასტერელი. რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის რიგებში დისციპლინას, რომელიც ყველაზე კეთილი განზრახვით მოქმედ სექტანტებსაც კი სდევნის და ყველას წესიერებისაკენ მოუწოდებს, მე უკვე ვეღარ ვიტყვი, რომ ამ ეკლესიის ბედი ჩემთვის სულ ერთი იყოს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს მეორე-ხარისხოვანი საკითხია, პოლიციის სამუშაოა, რომელსაც წმიდა ინკვიზიცია ეპისკოპოსებს და მღვდლებს ანდობს. წმიდა ინკვიზიცია ვალია, დაიცვას უფრო ამაღლებული და უფრო მიუწველო-მელი რამ, ვიდრე ეკლესიის ამქვეყნიური ხელშეუხებლობა. იგი აწარმოებს ფარულ, უხილავ ბრძოლას იმ მტრის წინააღმდეგ, რომლის აღმოჩენა მართო მას ძალუძს და იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომლის საფრთხის შეფასება მართო მას შეუძლია. ზოგჯერ მისი რისხვა თავს ატყდება იმპერატორებს; ზოგჯერ იგი ასეთივე მოქმედებას, ასეთივე სიფხიზლესა და სიმკაცრეს მიმართავს გარეგნულად უწყინარი, მცოვანი სწავლულის ან შორეული მთიანი სოფლის მწყემსი გოგონას წინააღმდეგ. მეუფენი ამქვეყნისანი იცინიან, როცა ხედავენ, რამდენ ღონეს ხარჯავს წმიდა ინკვიზიცია იქ, სადაც მათთვის საკმარისი იქნებოდა თოკის ნაწყვეტი და სერჟანტის ხელმოწერა სიკვდილით დასჯის განაჩენზე. დე იცინიანო, ამბობს ინკვიზიცია. მას შესწევს უნარი გამოიცნოს და ღირსეულად შეაფასოს მტერი, სადაც არ უნდა იყოს იგი. მისი მტერი რქიანი ეშმაკი, ურჩი ბავშვების დასაშინებელი საფრთხი-ბელა როდია, რომელიც ბატონ მთხრობელს ეჩვენება ყველაგან. მისი მტერი, მისი ერთადერთი მტერი, შენ უკვე ახსენე იგი — ადამიანია. აღეჭი, უანა, და მიპასუხე. ახლა მე ვიწყებ შენს დაკითხვას!

ყანა წამოღებება, მობრუნდება მისკენ, ეკითხება, ვითომ გულმოდრინად
შენ ქრისტიანი ხარ?

უ ა ნ ა. დიახ, ბატონო.
ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. შენ მოგნათლეს და სულ პაწაწინას
გზარდინენ შენი სახლის მოსაზღვრე ეკლესიის ჩრდილშიც, მკლესი-
ის ხარების რეკვით ანგარიშობდი ლოცვისა და გარჯის საათს.
თქვენს სოფელში გამოგზავნილმა ჩვენმა ემისრებმა ერთი და იგი-
ვე ამბავი მოიტანეს: შენ ძალიან მოწმუნენ გოგონა იყავი. თუმცა
შენ ღარდი არ იციდი და თამაში და სირბილი გიყვარდა, მაინც
ზოგჯერ იმის მეგობარად, რომ სხვებთან ერთად გერბინა და
გებტუნა, ჩემად შეიარებობდი ხოლმე ეკლესიაში და იქ დიდხანს
იყავი მუხლზე დაჩოქილი, ხელთ ლოცვანიც არ გქონდა, ისე
ფიქრში წასული მისჩერებობდი ფერად სარკმლებს.

უ ა ნ ა. დიახ, ბატონო. მიყვარდა იქ ყოფნა.
ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. შენ პატარა მეგობარი გოგონა გყავდა,
მას ომეტს ეძახდნენ და შენ ის გულით გიყვარდა.

უ ა ნ ა. დიახ, ბატონო.
ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. შენ ის ალბათ ძალიან გიყვარდა, რადგანაც
როცა ეოკულერს წასვლა გადაწყვიტე და იციდი, რომ უკან აღა-
რასოდეს დაბრუნდებოდი, ყველა მეგობარს ჩამოუარე გამო-
სათხოვრად, იმასთან კი არ მიხვედი.

უ ა ნ ა. დიახ, შემებრალა, არ მინდოდა მას გული ტყენოდა.
ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. აღამიანის არსებობაში ეს სიბრალოლე
შენ ბევრის მიმართ გამოიჩინე. შენ უვლიდი ლატაკთა ბავშვებს
და სწულებს, ისე რომ ეს არავის შეეტყო. ზოგჯერ ფეხით გივი-
ლი რამდენიმე ვერსს, რათა ტყეში მცხოვრებები, ქოხში ყველაფერს
მარტო მიტოვებულ დედაბრისათვის საჭმელი მიეგტანა. ხოლო
გვიან, პირველსავე ომში, დაჭრილების ნახვამ სიბრალოლის ცრემ-
ლი მოგვევარა და ტირილი ავივარდა.

უ ა ნ ა. მე არ შემემლო მეტყობრა, როგორ იღვრებოდა ფრანგე-
ლი სისხლი.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. არა მარტო ფრანგული. ორღენთან
შეტაკებამი ერთმა თავზეხელაღებულმა ფრანგმა ორი ინგლისელი
ჩაივლო ტყეში და ერთი მათგანი მოკლა, იმიტომ რომ ნელი მხი-
ჯით მიპყვებოდა. შენ თვალყრემლიანი ჩამოხტი ცხენიდან, ბედ-
ვის თავი მუხლზე დაიდგე, ნუგეშით უმსუბუქებდი სიყვდილს.

წუთებს, პირიდან ამომდინარ სისხლს უწმენდი, მოფერებით
ბიჭიკოს ეძახდი და სამოთხეში მოხვედრას აღუთქვამდი.

უ ა ნ ა. თქვენ ესეც იცით, ბატონო?
ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (წყნარად) წმიდა ინკვიზიციამ ყველა-
ფერი იცის. ყანა, მან კარგად აწონ-დაწონა მთელი შენი აღამიანუ-
რი გულკეთილობა, ვიდრე აქ გამოგზავნიდა შენს გასასამართლე-
ლად.

ლ ა დ ვ ე ნ ი უ. (წამოღებება) ბატონო ინკვიზიტორო. მე მოხა-
რული ვარ, რომ აქ დაწვრილებით გაიხსენეთ ის, რაზედაც აქამდე
ღუმდნენ. დიახ, ყველაფერი, რაც ყანაზე ვიცით, მისი ბალობი-
დან მოყოლებული, მოწმობს მხოლოდ სათნოებას, სინაზესა და
ქრისტიანულ გულმოწყალებას.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (შემობრიალდება მისკენ, მოულოდნელად მია-
ვლი) გაჩემდით, ძმაო ლადვენო, ვიმეორებ, ახლა დაკითხვას მე
ვატარებ. გთხოვთ არ დაიფიქროთ, რომ მე აქ წარმოვადგენ წმიდა
ინკვიზიციას, მხოლოდ მას შეუძლია საღვთო სჯულისაგან აღიარე-
ბული ქრისტიანული გულმოწყალება განასხვავოს უგვან, საქაველ
და მღვრიე სასმელისაგან, რომელსაც აღამიანური სიბრალოლე
ჰქვიდა... (ოვალს მოაქვებს ყველას), პოი, რა ადვილია, ბატონებო, ჩვენი
გულის მოღობა. საკმაოა, ბრალდებული იყოს კეთილი, მიაშიტი
პატარა გოგონა, რომელიც ფართოდ გახელილი დიდი თვალებით
გიტყერის, და თქვენ უკვე მოღობებით, მზადა ხართ გამაართლოთ
იგი. კარგი დამცველები კი ხართ საწმუნოებისა, მე ვატყობ,
წმიდა ინკვიზიციას ჯერ კიდევ ბევრი საშუაო აქვს, მას ჯერ კი-
დევ დასჭირდება ჩეხოს და ერთხელ კიდევ ჩეხოს. ჩვენ რომ აღარ
ვიქნებით, სხვები გააგრძელებენ ჩეხვას, ტყის შეუბრალებელ გა-
მოსწირვას, რათა ტყე დაიცივან და გადავარჩინოთ.

ლ ა დ ვ ე ნ ი უ. (პაუზის შემდეგ) მეუფეს ჩვენსას, მაცხოვარს,
სწორედ ასეთი საყვარულით უყვარდა, ჩემო ბატონო. რქვა მან:
„აღსდგნენ და შეუღდგნენ გზასა ჩემსა ყრმანი მცირენი“. მან დაადო
ხელი მემძეს და რქვა: „ვლიდგე მშვიდობით“.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (მეპარხე მხით) მე თქვენ გიბრძანებთ გა-
ჩემდეთ, ძმაო ლადვენო, არადა იძულებული გავხდები თქვენთვის
საც მოვიცალო. ჩვენ ვავალებთ ეკლესიაში ქადაგებისას სახარების
ნაწყვეტების კითხვას. ჩვენ მოვითხოვთ მღვდლებისაგან განმარტონ
ეს ნაწყვეტები, მაგრამ განა ოდესმე ვთარგმნეთ სახარება უბრალო

ენაზე? ვანა ყოველ ვიგინდარას ვუვადებთ მას ხელში? ვანა ბო-
როტოქმედემა არ იქნებოდა უბრალო ადამიანებისათვის დაგვეტო-
ნება სახარების ტექსტზე ემსჯელათ და თავისებურად აეხსნათ იგი,
მამინ, როცა მხოლოდ ჩვენა გვაქვს მისი ახსნა-განმარტების უფ-
ლება? (ღაწყარებულ) თქვენ ახალგაზრდა ხართ, ძმაო ლადვენო,
და ამდენად ვფიქრობ, დიდსულოვანიც, მაგრამ არ გეგონით, რომ
ახალგაზრდობა და დიდსულოვნება დამსახურებად ითვლებოდეს
სარწმუნოების დამცველთა თვალში. ეს საყმაწვილო სენია, რომ-
ლისგანაც თქვენ გამოცდილება განგჯურნავთ. სანამ ჩვენს საკრე-
ბულოში მივიღებდით, ჩვენ უფრო თქვენს ასაკზე უნდა გვეფიქრა
და არა თქვენს ცოდნაზე, რომელიც, როგორც ამბობენ, მეტად
ფართო ყოფილა. გამოცდილება მალე გასწავლით, რომ ახალ-
გაზრდობა, დიდსულოვნება და ადამიანური სიბრალული მტრული
ცნებებია. ყოველ შემთხვევაში, მე თქვენ ამას გისურვებთ. ეს კი
იცოდეთ, რომ წინდაუხედაობაა გულუბრყვილო ხალხისათვის მი-
ცემა იმ ტექსტებისა, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობდით, ისინი
იქიდან ადამიანის სიყვარულს შეითვისებენ. მაგრამ ვინც ადამიანს
შეიყვარებს, მას უფალი არ უყვარს.

ლ ა დ ვ ე ნ ი უ. (წყარად) მაგრამ უფალი ხომ განაკაცდა...

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (შებრუნდება კოშონისაკენ, მაცრად) ბატონო
ეპისკოპოსო, მე გთხოვთ, გამოიყენოთ ის უფლება, რომელიც
თქვენ მონიჭებული გაქვთ, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეს
და დღესდღეობით უარი თქვათ თქვენი ახალგაზრდა მსაჯულის
დამსახურზე. მოგვიანებით, თუ ამის საჭიროება იქნება, მე თვითონ
გადაუწყვეტ, რა ზომები უნდა მივიღო მის წინააღმდეგ. (ვერად
მეზობარე ხმით) მის წინააღმდეგაც და ვის წინააღმდეგაც არ უნდა
იყოს! თქვენ იცით, რომ ჩვენთვის არ არსებობს მიუწვდომლად
მაღალი პიროვნება. მე ჩემს თავსაც დავდებ ბრალს, თუ შეცდომას
ჩავეიდენ ნებითა უფლისათა. (საზეიმოდ იწერს პირჯვარს) უფალმა
მიხსნას და დამიფაროს ამისაგან!

(ტრიბუნალს შიშმა დაუარა).

კ ო შ ო ნ ი. (ლაპარაკობს უბრალოდ, ბოდისის ქესტით; ძმა ლადვენოს
მიმართ) მიბრძანდით, ძმაო ლადვენო.

ლ ა დ ვ ე ნ ი უ. (ვიღრე გვედოდეს) მე ვალდებული ვარ და-
გემორჩილოთ, ბატონო ინკვიზიტორო, თქვენ, ისევე, როგორც მის

უწმინდესობას, ბატონ ეპისკოპოსს, გტოვებთ და ველუშვარ. მხო-
ლოდ ჩვენ უფალს იესო ქრისტეს ვევედრებთ, რომ როცა მის
წინაშე მარტონი წარსდგებით, მან მოვაგონოთ თქვენი პაწაწინა
მტრის უმწეობა.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (არაფერს უბასუხებს, და როცა ლადვენო გა-
დის, წყარად). რაც უფრო პატარაა ჩვენი მტერი, რაც უფრო სუსტია
და ნაზი, წმინდა და უმანკო, მით უფრო საშიშია იგი. (შებრუნდება
ქანსკენ და განავრძობს თავის უღერდლო ხმით) როცა პირველად ხმები
გაიგონე, შენ თხოთმეტი წლისაც არ იყავი. თავდაპირველად მათ
გითხრეს: „იყავ კეთილი და მორჩილი და ხშირ-ხშირად იარე ეკლე-
სიაში...“

ქ ა ნ ა. დიახ, ბატონო.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (ორასროვნად იღიმება) ამ დრომდე შენს
ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბატონმა კო-
შონმა უკვე გთხრა, ჩვენი არქივები სასვეა კიუჩრეს მონხსენებით
იმის თაობაზე, რომ მის სოფელში არის პატარა გოგონა, რე-
მელსაც ესმის ხმები. ჩვენ არავითარ ნაბიჯს არ ვდგამთ, გოგონა
თავის საყმაწვილო დაავადებებთან ერთად მშვიდად გადაიტანს
მისტტივიზმის კრიზისსაც. უკეთუ კრიზისი უფრო მოგვიანო ასაკ-
შიაც გრძელდება, ქალიშვილი ჩვეულბრძოვად მიდის მონასტერში
და ჩვენ წინამძღვარს ვფრთხილებთ, რათა მან შეუზღუდოს ფიქ-
რისა და ლოცვის დრო და რაც შეიძლება მეტად მოქანცოს მიმივე
სამუშაოთი: დაქანცვა — საუკეთესო წამალია და ყოველივე ეს
ბოლოს და ბოლოს ქრება და მშვიდობიანად იძირება ჭურჭლის ნა-
რტებს წყალში. სხვა შემთხვევებში კრიზისი ხანმოკლეა, ქალიშვილი
თხოვდება და როცა უკვე დედის კალთას ჩაფრენილი მთორე
ბავშვი ჭყვივს, ჩვენ არჩეინად ვართ, რადგან ვიცით, რა ხმებსაც
გაიგონებს იგი მომავალში. შენ კი განავრძობდი ხმების ყურის
გდებას და ერთ მშვენიერ დღეს ხმებმა გითხრეს რალაც გარკვეული,
მაგრამ ციური ხმებისათვის შეუფერებელი.

ქ ა ნ ა. დიახ, მათ მიბრძანეს გადამერჩინა საფრანგეთი და
გამერევა ინგლისელები.

ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. შენს სახლში, სოფლად, ვანა გაწუხებდა
ომი?

ქ ა ნ ა. არა, ჩვენთვის არასოდეს არაფერი არ გადაუწყვეთ.
ერთხელ ინგლისელები ჩვენს სოფელს მოუახლოვდნენ და ჩვენ

აიყარეთ. მეორე დღეს რომ დავბრუნდით, არაფრისთვის ხელი არ
ეხლოთ. ჩვენი სოფლიდან უკვე შორს წასულიყვნენ.

ინკვიზიტორი. მამაშენი შეძლებული კაცი იყო. შენ
მინდვრად მუშაობა არ გეზარებოდა.

ქანა. დიახ, მე ცხვრის მწყემსვა მიყვარდა. მაგრამ მწყემსი
როდი ვიყავი, როგორც აქ ყველას ჰგონია. (გამიართება წალში და
მალბოლი სიამაყით წარმოთქვამს) მე ოჯახის შვილი ვიყავი. მთელ რუანში
ჩემზე უკეთეს მცირავსა და მქსოველ ქალს ვერ იბოვით.

ინკვიზიტორი. (ელივება ამ ბავშვურ პატივმოყვარეობაზე) მა-
შასაღამე, შენ მდიდარი და ბედნიერი ქალიშვილი იყავი. ხოლო
საფრანგეთის ავბედობიანი შენ მხოლოდ საღამოობით მონაყოლი
ამბეობით შეიტყე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შენ ივრძენი, რომ
უნდა წასულიყავი.

ქანა. ასე მიბრძანეს ხმებმა.

ინკვიზიტორი. ერთხელ შენ ივრძენი, რომ უნდა გეტ-
ვირთა შენ ირველივ მყოფთა ჯავრი. და შენ უკვე იცოდი, რომ გზა
შენი იქნებოდა მოკლე და სახელოვანი, მეფის კურთხევის შემდეგ
მოსხვებოდი იქ, სადაც ახლა ხარ, ჩვენ შორის, მომწყვდელი
კოცონთან ახლო, რომელსაც ახლა ბაზრის მოედანთან აღაგზნებენ.
ნუ იცრუებ, ქანა, შენ ეს იცოდი.

ქანა. ხმებმა მითხრეს, რომ შემოპყრობდნენ, მაგრამ მეტი
გამათვისუფლებდნენ.

ინკვიზიტორი. (ღმილით) გათავისუფლება? განა ეს
სიტყვა ციური ხმების შესაფერისია? განა შენ არ გაიფიქრე, რომ
სიტყვა „გათავისუფლება“ შეიძლება ნიშნავდეს რაიმეს ძალიან
იოლსა და ბუნდოვანს. სიკვდილი, რასაკვირველია, ათავისუფლებს.
შენ არც დედას და მამას გაუგონე, არც დაბრკოლებებს შეუშინდი
და გაუღიქვი გზას.

ქანა. დიახ, ბატონო, ასე უნდა მექნა და ასი მამა და ასი
დედაც რომ მყოლოდა, წელებზე ფეხის დაღმაც რომ დამეპირე-
ბოდა, მაინც წავიდოდი.

ინკვიზიტორი. იმისათვის, რომ მოხმარებოდი შენს
ძმებს, კაცებს, წმინდა კაცურ საქმეში — დაეცათ ის მიწა-წყალი,
რომელზედაც დიხადნენ და რომელიც მათი ფიქრით მათვე მართ-
ვნის.

ქანა. არ შეიძლებოდა უფლის ნებით ეძარცვათ, ებოცათ და

ემატონათ ინგლისელებს ჩვენს ქვეყანაში. როცა ისინი ზღვის გაღმა
წაეთრევიან, თავიანთ სახლში, ისინიც ღვთის შვილები იქნებიან
და მე არ წავალ მათთან საჩხუბრად.

მთხრობელი. პატივმოყვარეობა! მედიღურება! ნუთუ ვერ
ხვდები, რომ გერჩიენა დედის გვერდით საკერავსა და საქსოვს
ჯდომოდ?

ქანა. მე სხვა საქმე მქონდა, ბატონო, საოჯახო საქმეს კი
რომელი ქალიც ვინდათ, ის გააკეთებს.

ინკვიზიტორი. რაკი ზეცასთან, ასე ვთქვათ, უშუალო
კავშირი გქონდა, შენ უნდა გცოდნოდა, რომ იქ, მაღლა, შენს ლო-
ცვას განსაკუთრებით უსმენდნენ. შენ თავში არ მოგივიდა შე-
ნისთანა გოგოსათვის უფრო შესაფერისი აზრი — შენი სიცოცხლე
ლოცვასა და სინანულში გაგეტარებინა და ამით მიველწია ინგლი-
სელებს განდევნისათვის.

ქანა. უფალს ენება, რომ ჯერ ებრძოლათ. ბატონო! ლოცვა
უკვე დამატება იქნებოდა. მე ვარჩიე ამესხნა შარლისათვის, თუ
როგორ უნდა დასხმოდა თავს მტერს. ეს უფრო იოლი იყო. მან
დამიჭერა, სახელოვანმა დიუნუამაც დამიჭერა, ლა ირმაც, ქსენტ-
რაიმაც, ჩემმა გააფთრებულმა ვეფხვებმაც დამიჭერეს. ო, ჩვენ
ერთად ბევრი კარგი ბრძოლა გადავიხადეთ. რა კარგად ვგაძნობდით
თავს გარიერთაუზე კეთილი მეგობრების გვერდით, მხარდამხარ!

მთხრობელი. (შწარად) იმისთვის, რომ ხალხი გეუღიბათ,
ქანა? განა უფალმა კაცის კვლა გვიბრძანა? (განა არ უახსუბეს).

კოშონი. (წანარად) გეხალისებოდა ბრძოლა, ქანა?

ქანა. (უბრალოდ) კი, ეს ერთი იმ ცოდეთაგანია, რომლებიც
უფალმა უნდა მომიტევოს. საღამოს, ომის შემდეგ, მკვდრებით
დაფარულ ბრძოლის ველს რომ გავტყუროდი ხოლმე, იმ უბედურე-
ბის საცოდაობით ვტიროდი.

მთხრობელი. და მეორე დღეს ომს ხელახლა იწყებდი.

ქანა. ღმერთს ასე ეწადა, ვიღრე საფრანგეთში თუნდაც ერთი
ინგლისელი ჰქანებდა. განა ეს აგრე ძნელი გასაგებია? ჯერ საქმე
უნდა გაეთვლებოდა. თქვენ სწავულები ხართ და მეტიხმეტად
ბევრს ფიქრობთ. თქვენ უკვე აღარ გესმით ჩემი ყველაზე რეკვენი
ჯარისკაცისათვის გასაგები ამბები. ხომ ასეა, ლა ირ? (ვაუფილან
უეცრად გამოჩნდება ლა ირი, თორაბკარში ჩაქვილი ბუმბერაზი, მხიარული,
შისისმოგვრელი).

ლა ი რ ი. ეგრება, მაშა, ქალბატონო ქანა! (ყველაფერი სიბნელეში
ძირობდა. მარტო ლა ირია განათებული. შორს გაისმის ფლიტების მსუბუქი
შესოკა. ქანა წელი ნაბიჯით უახლოვდება, თითქოს თვალს არ უჩერებდეს, ხელით
უჭება).

ქ ა ნ ა. (ჩერჩულით) ლა ირ...

ლა ი რ ი. (იმეორებს ვაზეპირებულ ხუმრობას) როგორაა საქმე,
ქალბატონო ქანა, დილის ლოცვის მოვრჩით, ახლა პირტობის თანა-
ხმად, ცოტა ომი არ გავეაჩალოთ?

ქ ა ნ ა. (ცხვევა) ძვირფასო, ლა ირ! ჩემო ბღენძო ლა ირ! მამ,
ეს შენა ხარ? რა კარგი სუნი ავდის!

ლა ი რ ი. (შეწუხებული) ცოტა ხახვი და წითელი ღვინო გაბე-
ლი. სულ ეს არი ჩემი საუზმე, მამატიე, ქალბატონო ქანა, ვიცი
გეზარებათ. მაგრამ დილაადრიან ვილოცე, რომ უფალს ღვინის
სუნი არ მისვლოდა, როცა ვევედრებოდი... ძან ახლო ნუ მთ-
ღიხართ, ღვინის სუნი წაგაქცევთ...

ქ ა ნ ა. რას ამბობ, საამო სუნი ავდის...

ლა ი რ ი. ნუ დამცინით, ქალბატონო ქანა. თქვენ ყოველ-
თვის ამბობთ, რომ წესიერ ქრისტიანს ამისთანა სუნისა უნდა
რცხვეწოდეს. ინგლისელებს რომ ქარის მხრიდან მოვეპაროთ, მა-
შინვე ღვინის სუნი გეცემთ და შენ გამო თავდასხმა ჩაიშლებო.
ერთი თავი ხახვი და ცოტაც წითელი ღვინო... სულ ეს არი... რაც
მართალია, მართალია... ღვინოში კი წყალი არ გამირევია.

ქ ა ნ ა. (მოეხუტება) კეთილო ლა ირ, მე სულელი ვიყავი, არ
მესმოდა, ხომ იცო, როგორიც არიან გოგოები... მათ არასოდეს არა-
ფერი უნახავთ, მაგრამ თავისი აზრი ყველაფერზე მზადა აქვთ. იმათ
არ გაეკებათ. ისე ლაყობენ. მე ახლა უკვე შევიგნე: შენ კარგი
სუნა ავდის, ლა ირ; შენ ნადირის სუნი ავდის, ადამიანის სუნი.

ლა ი რ ი. (მოკრძალებულად) რას იზამ, ომია! მეთაური კიორე
როდია, ან კარის აზნაური. ოფლიანდება ჩვენი ძმა. ჰოდა, როგორ
გინდა ომში დაიბანო? ეონც იბანს, ის რა ვაყვაცია. ხახვზე აღარა-
ფერს ვამბობ. რასაკვირველია, შემძვლო სხეებზე თნიერისანი ძე-
ვით მესაუზნა. იმას უფრო ასატანი სუნი აქვს. მაგრამ, კაცმა რომ
თქვას, არც ხახვის ჰამაა დიდი ცოდვა.

ქ ა ნ ა. (ღიმილით) არა, ლა ირ.

ლა ი რ ი. რა ვიცი, თქვენი გადამიციდე...

ქ ა ნ ა. სადაც სიმართლეა, იქ ცოდვა არ არის, ლა ირ, მე სუ-

ლელი ვიყავი, არ მესმოდა და ძალიან გაწვალებული. ჩემო დათუნია,
რა კარგი სუნი ავდის — ცხელი ოფლის, უმი ხახვის და წითელი
ღვინის. ეს ხომ კარგი, უწყინარი, ადამიანური სუნია, ჩემო გაბე-
რილო დათვო, შენ მტერს ხოცავ, იგინები და ქალების ვარდა არა-
ფერზე ფიქრობ...

ლა ი რ ი. (უსაზღვროდ გაკვირებული) მე? ჩემზე ამბობ?

ქ ა ნ ა. დიახ, შენ. ვითომ გიკვირს, მოზვერო, მაშა აბრაშის
ბატკანივით თავს ნუ იკატუნებ.

ლა ი რ ი. ნუთუ, ქალბატონო ქანა? თქვენ მაინც ასე ფიქ-
რობთ? მიუხედავად ძალბატი ცხოვრებისა, სამოთხეში მოხვედ-
რის პატარა იმედი კილევ მაქვს, თუ ყოველდღე ვილოცებ. ჩვენ
ხომ ასე შევეთანხმდით?

ქ ა ნ ა. შენ იქ მიგელიან, ლა ირ. მე ახლა ვიცი, რომ სამოთხე
უფლისა საესეა შენნაირი მხეცეებით.

ლა ი რ ი. მართლა? გულახდილად რომ ვითხრა, სამოთხე-
შიც მძაყებთან ყოფნა სჯობს. მე ცოტა ყოველთვის მაწუხებდა
იმის ფიქრი, რომ სამოთხეში წმინდანებთან და ეპისკოპოსებთან
ყოფნა მომწყინდებოდა. იმათ უნდა ელაპარაკო...

ქ ა ნ ა. (მეგობრულად უტყაფუნებს) გაბერილო შტერო! საესე ტო-
მარავ ყეყეჩო! არ იცი, რომ სამოთხე სულელებით არის საესე?
შესაძლოა ასე ინება უფალმა, სამოთხეში მარტო სულელები
მოხდნენ, დანარჩენებს, თავიანთი ბინძური თავების კარნახით
იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი, რომ დიდხანს მოუწევთ კართან
ყურყურტი. შენი ძმაცაცები კი სამოთხეში ატარებენ დროს.

ლა ი რ ი. (შეწუხებული) ვითუ ჩემს ძმებიკებთანაც მომწყი-
ნდეს, ბაიუშივით თუ სულ წყნარად ვიქენით. ცოტა ჩხუბის ნება
არ გვექნება?

ქ ა ნ ა. თუ გინდა, მთელ ღღესაც იჩხუბებთ.

ლა ი რ ი. (მოწიწებით) მარტო მაშინ, როცა უფალი ვერ
დაგვინახავს.

ქ ა ნ ა. იგი ხომ მუდამ გვხვდავს, შე შტერო, იგი ყველაფერს
ხვდავს. თქვენი შემხედვარე უფალი ბევრს იცინებს და ზოგჯერ
წაგაქეზებთ კილევაც ასე: „აბა, ეცი, ლა ირ, მისცხე ქსენტრას
ნეკნებში. დაუზილე გვერდები, არვენე, რა ვაყვაცია ხარ!“

ლა ი რ ი. ასე უბრალოდ, ჩვენებურად?

ქ ა ნ ა. ჰო, მაგრამ, რასაკვირველია, სულ ასე ხეპრულად არა.

ლა ი რ ი. (აღტაცებულ) ჰოი, მაგისი ღე...

ქ ა ნ ა. (უცებ პრაქტება, ყვირის) ლა ი რ!

ლა ი რ ი. ბოლიში!

ქ ა ნ ა. (ტლმოზლად) თუ გინებას არ მოიშლი, კინწისკვრით გამოგადუნებს სამოთხიდან უფალი.

ლა ი რ ი. ეს მე სიხარულისაგან წამოვიძახებ, უფლის სა- მაღლობლად.

ქ ა ნ ა. უფალი გაგიგებს, მაგრამ ამის მეტად აღარ წამოგცდეს, თორემ ჩემთან ვეჭნება საქმე. დღესდღეობით გვეყოფა ლაყბობა... ახლა კი, ძმობილო, ცხენებზე შეესხდე! წარმოიდგენ, ვითომ ცხენებზე სხვებან და ირწვიან ერთიმეორის მხარდამხარ, ვითომ შიპენებენ რა კარგია, ლა ი რ, დილაადრიან ამხანაგის მხარდამხარ ცხენის ბუნება — ირგვლივ ცვრიან ბალახის სურნელი ღვას. ომი! იქნებ სულაც ამისათვის ომობენ, რომ ცვრიანი ბალახის ნამდვილი სურნელი იგრძნონ განთიადზე, როცა ცხენდაცხენ მიჰქრიან, მეგობრის მხარდამხარ.

ლა ი რ ი. არიან ისეთებიც, დილას ფეხით გასეირნება რომ ურჩევენიათ.

ქ ა ნ ა. ჰო, მაგრამ მათ არ იციან ნამდვილი სურნელი განთიადისა, ნამდვილი სითბო მხარდამხარ მიმქროლავი ამხანაგისა... ღმერთმა რომ ეს განვაცდევინოს, ამისათვის საქირთა, გზის ბოლოში სიყვდილის ლანდი ფარფატებდეს.

(მაუზა, განაგრძობენ პენებას და ცხენებზე რწყვას).

ლა ი რ ი. ერთიც ვნახოთ და გადავეყაროთ ინგლისელებს, რომელთაც ჩვენსავით უყვართ დილის სურნელი?

ქ ა ნ ა. (გახალსებული) ქორივით ზედ დავეცემით! რა იყო, ხომ არ შედრკი?

ლა ი რ ი. ვინა, მე?

ქ ა ნ ა. ვებდღენათ, ძმობილო, და ზურგზე ბოლი ავადინოთ. ჩვენ აქ სხვა საქმე არა გვაქვს რა!

(მაუზა).

ლა ი რ ი. მაგრამ თუ ასეა, ქალბატონო ქანა, თუ თქვენ სი- მართლეს მეუბნებოდით, ისინი, ვისაც ჩვენ საიჭიოს გავისტუმრებთ, პირდაპირ სამოთხეში მოხვდებიანო, ინგლისელებზე სულელები ხომ ქვეყნად არავინ არის.

ქ ა ნ ა. რასაკვირველია, სამოთხეში მოხვდებიან, აბა, შენ რა გეგონა? (უცრად დაიყვირებს) შეჩერდი! (ორივე ჩერდება) გაიხედე, იქ სამი ინგლისელია, მათ ჩვენ დაგვინახეს, გაბრძანა.. არა, უკანვე მობრუნდნენ, დაგვინახეს, რომ მარტო ორნი ვართ. ცხენებს აქეთ მოაქუნებენ. ხომ არ გეშინია, ლა ი რ? ჩემი იმედი მაინცდამაინც ნუ გეჭნება, მე გოვთ ვარ, ხმალიც კი არა მაქვს. რას იზამ, შეებრძო- ლები?

ლა ი რ ი. (გაძრბის ხმას და გახარებული დაიქუხებს) შევებრძოლე- ბი და მერე როგორ, დედას ვუტყვებ (გამოვარდება წინ, ყვირის ცისკენ თვალაყრბილი) მე არაფერი მითქვამს, უფალი, არაფერი! ნუ მიაქ- ცევ ყურადღებას... (შეიჭრება მოსამართლეთა ჯგუფში, მარჯვნივ და მარცხნივ. ხმლი ლეწვის ყველაფერს, ბრბოლით მიიწვს წინ და ქრება სცენის სიღრ- მეში).

ქ ა ნ ა. (დაოქილი) მის არაფერი თოქვამს, უფალი! არაფერი უთ- ქვამს. იგი ბურგივით კარგია და კეთილი. იგი ისეთივე კარგია, რო- გორც ქსენტრეი. იგი ისეთივე კარგია, როგორც ჩემი ყოველი ჯა- რისკაცია, რომლებიც კლავენ, ძალას ხმარობენ, ძარცვავენ და ილან- ძლებიან. იგი ისეთივე კარგია, როგორც მგლები, რომლებიც თქვენ შექმენით უმანკობად. მე პასუხს ვაგებ ყოველივე მათგანის მიგვი- რად (ისევ დიავა ლოცვად).

(მოსამართლენი შეგროვდნენ. ქანას ირგვლივ შუქი აინთო).

ქ ა ნ ა. (თავს აწევს, დაინახავს მათ და როგორც სიზმრისაგან გამოფხი- ლებული შეპყვირებს) ლა ი რ, ქსენტრეი, ჯერ ხომ საბოლოო სიტყვა არ გვითქვამს. აი ნახეთ, ისინი მოკლულენ. თან სამისიოდე ვაქცაცს მო- იყვანენ და გამათავისუფლებენ.

კ ო შ ო ნ ი. (წყნარად) ისინი იყვნენ, ქანა. რუანის კარამდე მო- ვიდნენ, შეიტყვეს, რამდენი ინგლისელია და უკანვე გაბრუნდნენ.

ქ ა ნ ა. (ღაბნული) აბა, გაბრუნდნენ? უომრად? (განაგრძობს პაუზის შემდეგ) ისინი მამველი ჯარისათვის გაბრუნდნენ, რა თქმა უნდა, მე ხომ თვითონ სულ ვარიგებდი, არასოდეს არ უნდა შეუტოოთ და- უფიქრებლად, როგორც ეზენკურთანთქო.

კ ო შ ო ნ ი. ისინი სამხრეთისაკენ გაბრუნდნენ შუადლისას, ლუ- არის სამხრეთით, სადაც ომით დაქანცული შარლი თავის არმიას შლის და ცდილობს დადოს ხელშეკრულება, რათა საფრანგეთის პა-

ტან ნაგლეჯი მარცხ შეინახუნოს, ისინი არასოდეს აღარ დაბრუნდებიან. განა

განა ტყუილია და იმის დაბრუნება, სულ უიმედოდაც რომ იყოს სიქმე?

კომიტეტი და იმის მანერს შეთავაზება მხოლოდ, როგორც ეს გავიდა რომ შენს მეფეს ზღვრის დადება სურდა, მაშინვე სხვა მოთხოვნის დასახელებით იგი გარბნის. რა თქმაობა, რათა იქ განხორციელდეს სხვა მოთხოვნა და ეს.

განა ტყუილია კომიტეტი. მხოლოდ განა შე შენთვის იმდენად ტყუილია მოთხოვნა, რამდენადაც სხვა მოთხოვნაა?

კომიტეტი და იმის მანერს შეთავაზება მხოლოდ, როგორც ეს გავიდა რომ შენს მეფეს ზღვრის დადება სურდა, მაშინვე სხვა მოთხოვნის დასახელებით იგი გარბნის. რა თქმაობა, რათა იქ განხორციელდეს სხვა მოთხოვნა და ეს.

განა ტყუილია კომიტეტი. მხოლოდ განა შე შენთვის იმდენად ტყუილია მოთხოვნა, რამდენადაც სხვა მოთხოვნაა?

კომიტეტი და იმის მანერს შეთავაზება მხოლოდ, როგორც ეს გავიდა რომ შენს მეფეს ზღვრის დადება სურდა, მაშინვე სხვა მოთხოვნის დასახელებით იგი გარბნის. რა თქმაობა, რათა იქ განხორციელდეს სხვა მოთხოვნა და ეს.

განა ტყუილია კომიტეტი. მხოლოდ განა შე შენთვის იმდენად ტყუილია მოთხოვნა, რამდენადაც სხვა მოთხოვნაა?

ინკვიზიტორი (მთარგმნის სიტყვებით)

ინკვიზიტორი (მთარგმნის სიტყვებით) და იმის მანერს შეთავაზება მხოლოდ, როგორც ეს გავიდა რომ შენს მეფეს ზღვრის დადება სურდა, მაშინვე სხვა მოთხოვნის დასახელებით იგი გარბნის. რა თქმაობა, რათა იქ განხორციელდეს სხვა მოთხოვნა და ეს.

ლი სძულს, გმობს, შეურაცხყოფს იმერს, მის მარცხს საჩქმუნოებ-სთან იქნის სიქმე ნათელი, მშვიდი აღმოჩინო სასიყვარულო უფრო მარ-ნებს მე. შეხედეთ მის ბორკილდაღებულს და იარაღიანოს, თავი-სთანებისგან მიტოვებულს და ცოტა არ იყოს დაეჭვებულს, რომ კარგა ხნის დადუმებული სიტყვი იმდენად მართალი ესმოდა. განა იგი პირველ ეტაპზე და უფრო მეტი შეკლის იმის? განა თუნდაც იმის ვეღ-არება, რომ ის სიტყვი იმე გაკვირვოს და გზა აქვინოს? არა აღმოჩინო ჩვენ პირდაპირ გვიყვარს, იმის ქველი ვერ მოსაზრებინა წამების, ცე-მამ და დამკრებამ, მნელ დღეებში ვახებამ. იგი თვალდაპირობრივ მიტოვებია თავისივე თავის შეუღლებულ ხატების, ცხატებს მისი რა-შეთუ იგი არის კეშმარტი უფრო მისი თ. რისი მენიშია მე? იგი ჩვენ გვიმსუქებს (გარდაცვალება). განა, შენ ამის გამოვრების სურვილი გეძლავს? რაც ჩამოვინია...*

განა (მთარგმნის სიტყვებით) ინკვიზიტორი (მთარგმნის სიტყვებით)

ინკვიზიტორი (მთარგმნის სიტყვებით) და იმის მანერს შეთავაზება მხოლოდ, როგორც ეს გავიდა რომ შენს მეფეს ზღვრის დადება სურდა, მაშინვე სხვა მოთხოვნის დასახელებით იგი გარბნის. რა თქმაობა, რათა იქ განხორციელდეს სხვა მოთხოვნა და ეს.

შეგიძლიათ — მომკლათ წამებით, რაცა გსურთ ის მათქმევეინით, ოღონდ იმას კი ვერ მაიძულებთ, რომ „პო“ ვთქვა“. (ყვირის) პოლა, ბატონებო, ჩვენ, რა საშუალებითაც იქნება, უნდა ვისწავლოთ, რადაც არ უნდა დაუჭდეს კაცობრიობას, უნდა ისწავლოს ის, თუ როგორ უნდა ათქმევეინო აღამიანს „პო“. რაგინდ გაბატონებულიც არ უნდა იყოს იდეა, რაგინდ არ უნდა შემუსროს მან მოწინააღმდეგენი, სანამ იარსებებს თუნდაც ერთი აღამიანი, რომელიც მას არ დაემორჩილება, იდეა მიინც საფრთხეში იქნება. ამიტომ მე მოვითხოვ მოვევითოთ უანა ეკლესიისაგან და საერო ხელისუფლებას გადავცეთ. იმის მოთხოვნით, რომ სასჯელად შეუფარდონ სიკვდილი ან სხეულის დასახიჩრება. (მობოტუნდება უანასკენ) ეს არ იქნება შენი სრული დამარცხება, უანა, მაგრამ მეტს თუ ვერაფერს მოგიხერხებთ. ვაგაჟუმებთ მიინც. ჭერჭერობით კი ჩვენ ამაზე უკეთესი სხვა ვერაფერი მოვიგონეთ. (საერო ღუმელში ჯდება).

კოშონი. (წყნარად) ბატონმა ინკვიზიტორმა პირველმა მოითხოვა ეკლესიისაგან შენი განკვეთა და სიკვდილით დასჯა. უანა, ვმომბოტ, რომ ბატონი მთხრობელიც ამასვე მოითხოვს. ყოველი ჩვენგანი თავის აზრს გამოთქვამს, გადაწყვეტილება კი მე უნდა მივიღო. ჩვენი ეკლესია, რომლისთვისაც ერთი გზააბნეული ცხვარი ყველა დანარჩენზე ძვირფასია, სანამ მოიკვეთავს და შორს გადაავლებს თავისი სხეულის იმ დამბალ ნაწილს, რასაც შენ წარმოადგენ, უკანასკნელად შეეცდება ჩაგაგონოს. (ანიშნებს ხელთ, წინ გამოდის ქალაიკი) იცნობ თუ არა ამ კაცს, უანა? (უანა შემოტრიალდება და ცივი ჟრუანტულს დაუშობს) ეს ქალაქ რუანის მთავარი ქალათია. შენ ამ ქალათის ხელთ მიგცემენ, თუ არ მოისურვებ გვანდო შენი სული, რათა ჩვენ ვიხსნათ იგი. კოცონი მზად არის, ოსტატო?

ქალათი. მზად არის, თქვენო უწმინდესობა. იგი ჩვეულებრივზე მაღალია. მიბრძანეს ქალიშვილი ყოველი მხრიდან კარგად უნდა ჩანდესო, სამწუხაროდ, მისთვის ეს ცუდია, ვერ დავემარებო, რადგან ძალზე მაღლა იქნება.

კოშონი. დახმარებას შენ რას ეძიხ, ოსტატო?

ქალათი. თქვენო უწმინდესობა, ეს ჩვენი ხელობის ერთ-ერთი ხერხია, რომელსაც ჩვენ მაშინ მივმართავთ, თუ მსხვერპლის წინააღმდეგ რაიმე საგანგებო მითითება არა გვაქვს. აღის პირველი ავარდნისთანავე, უკნიდან ავდივარ, ვითომ ფიჩხის დასამატებლად და კვამლის საფარველქვეშ დამნაშავეს ხელით ვახრჩობ. ამის შემდეგ

ეცესლზე უკვე მკვდარი სხეულია იწვის და წამება იმდენად საშინელი აღარ არის. მაგრამ დღეს კოცონის ისე მაღლა გამართვა მიბრძანეს, ქალიშვილი ისე მაღლა იქნება, რომ მე ვერ შევძლებ იქ ასვლას. (დასტანს სრულიად ჩვეულებრივად) ისე რომ თვითონაც მიხვდებით, წამება დიდხანს გასტანს.

კოშონი. გაიგონე, უანა?
უანა. (წყნარად) დიახ.

კოშონი. უკანასკნელად გიწვდი ხელს შენი დედის — ეკლესიის დიდ ხელს გადასარჩენად. ეკლესიისა, რომელსაც სურს დაგაბრუნოს თავის სამწყსოში, მაგრამ შენ დრო ცოტალა გაქვს. გეგმის ხმაური? ეს ბრბო არის, დილიდან რომ გიციდის, დილიდან მოვიდნენ, კარგი აღვილებს დასაკავებლად. ისინი შინიდან წამოღებულ საკმელს შეეცქვიან, ბავშვებს ტუქსავენ, ერთიმეორეს ეხუმრებიან და ჯარისკაცებს ეკითხებიან: მაღე დაიწყება თუ არაო. ისინი ბოროტები როდი არიან. ასევე მოვიდოდნენ და აღტაცებით მოგელოებოდნენ რუანი რომ აველო, მაგრამ ჩარხი სხვაგვარად დატრიალდა. და აი, ისინი მოვიდნენ იმის სანახავად, თუ როგორ დაგვრევენ შენ. ამ ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული არასოდეს არაფერი ხდება და მათთვის არ არსებობს არავითარი სხვა სანახაობა, გარდა დიდი აღამიანების ტრიუმფისა და სიკვდილისა. უნდა შეუწოდო მათ, ისინი მთელი სიცოცხლე იტანჯებიან. მათ ამ ბატარა გართობის უფლება აქვთ.

უანა. მე მათ შევუნდობ, აგრთვე თქვენც, თქვენო უწმინდესობა.

მთხრობელი. (წამოტება ყვირლით) მედიდურება! პოი, უსაზღვრო მედიდურება! მისი უწმინდესობა მამაშვილურად გელაპარაკება, ცდილობს იხსნას შენი საბრალე, დაკარგული სული და შენ გყოფნის თავხედობა მას უთხრა, შეგინდობო?

უანა. მისი უწმინდესობა დაყვავებით მელოპარაკება, თუმცა არ ვიცი რატომ: ჩემს გადასარჩენად თუ დასამარცხებლად? მაგრამ რაკი იძულებული იქნება ბოლოს და ბოლოს დამწვას, მე მას შევუნდობ.

კოშონი. შეეცადე, უანა, გაიგო, რომ შენს სიჯიუტეში არის რაღაც უაზრობა. შენ ხომ მორწმუნე ხარ. უფალი, რომელსაც შენ ახსენებ, ჩვენი ღმერთიცაა. სწორედ მან მოგვიწოდა ჩვენი ეკლესიის დამაარსებლის, პეტრე მოციქულის ბრძანებით გიხელმძღვანე-

ლოთ შენ. უფალს თავისი ქმნილებსათვის როდი უთქვამს, შენ პირ-
დაპირ მე მომმართო. მან ბრძანა: „შენ კლდე ხარ, ამ კლდეზე მე
დავაფუძნებ ტაძარსა ჩემსა. და მსახურნი მისნი იქნებიან მწყემსნი,
თქვენნი“. განა ჩვენ უღირს მწყემსებად გვთვლი, უნა?

უანა. (წყნარად) არა.

კოშონი. მაშ, რატომ ისე არ იქცევი, როგორც უფალი გვა-
ვალდებს? რატომ არ გინდა ცთომილება შენი ანდო ეკლესიას, რო-
გორც ამას სოფლად სწადიოდი შენს ბავშვობაში? შენ ხომ სარწმუ-
ნოება არ გამოვიცვლია?

უანა. (უცებ აყირბება შემოფოხვული) მე მინდა მივენდო ეკლესიას!
მე მინდა წმიდა ზიარება! მაგრამ ამაზე უარს მეუბნებიან.

კოშონი. ჩვენ ზიარების ნებას დავრთავთ, აღსარებისა და
მონანიების შემდეგ. შენ მხოლოდ „ჰო“ გვითხარი. ჩვენ ყველამ ვი-
ციოთ, რომ შენ გულადი ხარ, მაგრამ შენი სხეული ჯერ კიდევ ნაზია,
შენ ალბათ გეშინია სიკვდილისა?

უანა. კი, გეშინია, მაგრამ მერე რა?

კოშონი. მე შენი პატივისმცემელი ვარ, უნა, და ასეთ შიშს
საკმარისად ვერ ჩავთვლი იმის უარყოფისათვის, რაც შენ ჩავიდინა.
შენ მოგწევს სხვაგვარი. უფრო ღრმა შიშის გამოცდა. შენ საუკუ-
ნო სატანჯველში იგდებ თავს ცთომილების, მედიდურებისა და ჯიუ-
ტობის გამო. ის ხმები, რომელიც შენ გესმოდა, ღვთიურად რომ ყო-
ფილიყო, შენ არაფერს არ დაკარგავ, თუ იმავე ღვთის მსახურებს
დაემორჩილები. ვთქვით, ჩვენ არ დავიჯერეთ ხმებზე ნაამბობი, მა-
თი ნაპრქანები. მაგრამ თუ დაუტყუებთ, რომ ღმერთი მართლა გე-
ლაპარაკებოდა მთავარანგელოზისა და წმინდანების პირით და ჩვენ
მანც მოგისაჩუქრებდა სსაქელი. მაშინ ჩვენ ჩავიდინთ უმეტრებით, თე-
დაჯერებითა და მედიდურებით ნაკარანჯევ საშინელ ცოდვას და ეს
კოდე გაგვტანჯავს საუკუნო ცხოვრებაში. ჩვენ ვებედავთ ვიცისროთ
მასუხისმგებლობა შენი გულისათვის, უნა, შენ კი არაფერს არ კარ-
გავ. შენ მხოლოდ უბრალოდ გვითხარი: „ჩემს თავს განდობთ
თქვენ“. უბრალოდ „ჰო“ თქვი და შენ კპოვებ თავისუფლებას, შენ
განწმენდილი იქნები და თვიდან აიცილებ ყოველგვარ საფრთხეს.

უანა. (უეცრად, დაღლილ) რატომ მტანჯავთ ასეთი გულკეთი-
ლობით. თქვენო უწმინდესობავ? ამას მირჩევენა, მცემით.

კოშონი. (ღიმილით) მე რომ შენ გცემო, ამით კარგ გამართლე-
ბას მიეცემდი შენს ამპარტავნობას, რომელსაც სურს მოგკლას. უფ-

ალმა შენ შეგქმნა ჭკუითა და კეთილგონიერებით აღსავსე. ამიტომ
მინდა დავაჯერო და დავიყოლიო. მე ვიცი, რომ შენ გულჩვილი ხარ
და ამიტომ ხეწვნიოთა კი მოგმართე. მე ხნეირი კაცი ვარ, უნა, ამ-
ქვეყნისაგან ბევრს აღარაფერს ველი. როგორც ყოველი აქ დამსწ-
რეთავანი, მეც ბევრს გვალავი ეკლესიის დასაცავად. კმარა, დავი-
ლალე. მე არ მინდა ჩემი სიკვდილის წინ პატარა გოგოს მოკვლა,
მაგრამ შენც უნდა მომხმარო, რომ ეს არ ჩავიდინო.

უანა. (დახვეული შეპყურებს. პუზის შემდეგ) მაინც რა უნდა გიბა-
სუხოთ?

კოშონი. (უახლოვდება) უბირველეს ყოვლისა, უნდა შეიგნო,
რომ არავისთვის სარგებელი აღარ მოაქვს იმის მტკიცებას, თითქოს
შენ ღვთის გამოგზავნილი იყავი. მაგის მტკიცება მარტო ჯალათსა
და ინგლისელებს ეხმარება. თვით შენმა მეფემაც კი, როგორც პო-
ლიტიკოსმა, იმ წერილებში, რომლებიც ჩვენ წავიკითხეთ, განაცხა-
და, რომ იგი სრულიადაც არ თვლის თავს უფლისაგან დავალებუ-
ლად, რომლის იარაღიც ვითომდა შენ იყავი.

(ღრტივთა. უანა მიბრუნდება შარსისაკენ).

შარლი. (სრულიად უბრალოდ) აბა, ჩემს ადგილზე შენი თავი წარ-
მოიდგინე, უნა. თუ ჩემი მეფედ კურთხევა უსასწაულოდ არ
მოსდებოდა, ამას თავისი გამართლება ექნებოდა. გამოვიდოდა, რომ
მე მამაჩემის უწილი არა ვარ და ჩემთვის გვირგვინის დასადგმელად
საკმარისი ყოფილა. ჩემი წინაპრების მეფედ კურთხევა ყოველ-
გვარი სასწაულის დაუხმარებლად ხდებოდა. ღვთის შეწევნა კარგია,
მაგრამ კანონიერი მემკვიდრის გამეფებას ეს დახმარება საუკუნის
ხდის. და კიდევ უფრო საეჭვო ხდება, როცა უფლის დახმარება შე-
წყდება. პარიზთან მომხდარი უბედურების შემდეგ ჩვენ სულ გვა-
მარტყებენ. შენ კომპიენის ტყეში შეგიაყრეს. ახლა განაჩენს შე-
თითხნინან, ჯალოქრად, ღვთის მგობობად, ეშმაკის მოციქულად გა-
მოგაცხადებენ: ამას უკვე წინ აღარაფერი დაუდგება. ამიტომ ვამ-
ჯობნიებ გამოვაცხადო, რომ შენ არასოდეს არავისი მოციქული არ
ყოფილხარ. ამით იმას დავამტკიცებ, რომ ღმერთი არც მომხმარებია
და არც მიუუტოვებია. ბრძოლებს იმიტომ ვიგებდი, რომ დროეზი-
თი ღონეზე ვიყავი, ახლა ისევ დაესუსტდი და მტერი მომერია. პო-
ლიტიკაში ასე ხდება, ხომ გესმის?

უანა. (წყნარად) დიახ, მესმის.

ული წესისა და მოკრძალების საწინააღმდეგო, შენთვის შეუფერებელ მამაკაცის ტანსაცმელს?

ჟანა. (დაქანული ამ კითხვით) თქვენ ამას მეთუჯერ მეკითხებით. ტანსაცმელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე ხმებმა მიბრძანეს, რომ ეს ტანსაცმელი ჩამეცვა.

მთხრობელი. (ყვირის) ეშმაკმა გიბრძანა! ეშმაკის მეტი ვინ ჩაგავიგნებდა ქალიშვილს, რომ ზრდილობაზე ზელი აგელო?

ჟანა. ჰქუამ და გონებამ ასე მიყარანახა, ბატონო.

მთხრობელი. (ბოროტად იცინის) ჰქუა-გონებამ? შენ ყველაფერს ჰქუას აბრალებ. გოგო რომ შარვალს ჩაიცვამს, იქ ჰქუა და გონება საღა არის?

ჟანა. აბა, რა მექნა, ბატონო? ჯარისკაცებთან ერთად დავაჰენებდი ცხენს. იმისათვის, რომ მათ დავეწყებინათ ჩემი ქალიშვილობა. იმისათვის რომ მათ ჩვეულებრივ ჯარისკაცად მივეჩინე, ტანზეც ისე უნდა მცმოდა. როგორც მათ ეცვათ.

მთხრობელი. ვერაფერი პასუხია. უმანკო გოგონას ჯარისკაცებთან არაფერი ესაქმებოდა.

კოშონი. დავუშვათ, რომ ეს ტანსაცმელი ომში საჭირო იყო. მას შემდეგ, რაც ჩვენს ხელთა ხარ და აღარ ომობ, რატომ არ იცვამ შენი სქესის შესაფერის ტანსაცმელს?

ჟანა. არ შემიძლია.

კოშონი. რატომ?

ჟანა. (პაუზის მერე წითლდება) ეკლესიის საპატიმროში რომ ვიყო, დავთანხმდებოდი.

მთხრობელი. აი, ხომ ხედავთ, თქვენო უწმინდესობავე, როგორ ეშმაკობს. ნამდვილად დაგეცინის. რატომ მაინცდამაინც ეკლესიის საპატიმროში დავეთანხმდებოდი და იმ ციხეში, სადაც ხარ არ გვეთანხმები? მე, მგალითად, ეს ვერ გამიგია, მინდა კი რომ გავიგო.

ჟანა. (სევდიანი ღიმილით) ეს ადვილი გასაგებია, ბატონო, ამის დიდი მეცნიერება არ უნდა!

მთხრობელი. (მოთმინებად აჯარჯული) ესე იგი, ეს ადვილი გასაგებები ყოფილა და მე კი ვერ გამიგია! მაშასადამე, გამოდის, რომ მე ბრიყვი ვარ? დაიხსომეთ, ბატონო, დაიხსომეთ, იგი შეუურაცხყოფის მაყენებს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას. მას თავი მოაქვს თავისი ურცხვობით, სატრაბახოდ აქვს უსირცხვილობა და

მასში პოულობს უგვან სიამოვნებას. თუ საკითხის არსში დაემორჩილება ეკლესიას, რასაც იგი თითქმის აბირებს მისი უწმინდესობის — ეპისკოპოსის კიდევ ერთი ცდის შედეგად. ამ შემთხვევაში მე. შესაძლოა, იძულებული ვაგხდე მოუხსნა მას ერესის ბრალდება. მე ვხედავ, რომ ზოგიერთს უნდა მისი გადარჩენა სასჯელისაგან, მაგრამ რამდენიც არ უნდა შელაპარაკონ, სანამ იგი არ მოიშორებს ეშმაკის სამოსელს, უგვანობისა და მანკიერების მოკაზმულობას, მანამდე მე კვლავ ბრალს დავდებ მას ჯადოქრობაში. თუ საჭირო იქნება ბაზელის სინოდს მივმართავ! აი, ჩვენ წინაშე ეშმაკია. მე ვგრძნობ, რომ ეშმაკი აქ არის. ის უმადრებს მხარს ბრალდებულს, ჩაგონებს ურჩობასა და ჯიუტობას და აიძულებს არ გაიხადოს კაცური ტანსაცმელი.

ჟანა. ვადამიყვანეთ ეკლესიის საპატიმროში და იქ გამოვიცვლი ამ ტანსაცმელს.

მთხრობელი. შენ უფლება არა გაქვს ეკლესიას ევაკრო, ჟანა, მისმა უწმინდესობამ ეს უკვე გითხრა. ასე იქნება, თუ ისე, მაგ ტანსაცმელს გაიხდი, არა და ჯადოქრად გამოგაცხადებენ და დაგწვავენ.

კოშონი. თუკი პრინციპულად თანახმა ხარ, ამ საპრობილეში რატომ არ გამოიცილი ტანსაცმელს?

ჟანა. (გაწითლებული ზურხულებს) მე ხომ იქ მარტო არა ვარ. მთხრობელი. (ყვირის) მერე რა, რომ მარტო არა ხარ?

ჟანა. ჩემს საკანში დღე და ღამე ორი ინგლისელი ჯარისკაცია.

მთხრობელი. მერე რაო?

(პაუზა. ჟანა წითლდება და არ უპასუხებს)

გვიპასუხებ ბოლოს და ბოლოს, თუ არა? სხვა მიზეზი ვერაფერი მოიგონე? ეშმაკი უფრო გამჭრაჩხი მეგონა. აქ კი თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა. ვაუბი, გოგონავე, და წითლდები, არა?

კოშონი. (წყნარად) უნდა გვიპასუხო, ჟანა, მე მეგონა, ვავიგე, ვავიგე, მაგრამ საჭიროა შენ ეს თქვა.

ჟანა. (მცირე ყოყმანის შემდეგ) ციხეში გრძელი ღამეებია. მე ბოროკილები მაღდეს. ეცდილობ არ დამეძინოს, მაგრამ ზოგჯერ დაღლილობა მერევა...

(ჩუმდება, კიდევ უფრო გაწითლებული).

მთხრობელი. (კიდევ უფრო გონებაშეკრული) მერე რა? მერე რა, რომ ღამეები გრძელია, ბორკილები გაღვეს და გეძინებ? ეხანა. (წყნარად) ამ ტანსაცმელში თავს უკეთ ვიცავ...
კოშონი. (უფრო დაგუბული ხმით) სასამართლოს დაწყების დღიდან ასე გიხდება თავის დაცვა?

ეხანა. ყოველ ღამე, იმ დღიდან, რაც ტყვედ ჩავვარდი, თქვენო უწმინდესობავ. ყოველ საღამოს, როგორც კი უძანვე მგზავნი, ყველაფერი თავიდან იწყება, უკვე მივეჩვიე უძილობას, ამიტომ დიდი დროებით, როცა ისევ თქვენთან მოვყავართ, ზოგჯერ უადგილო პასუხებს გაძღვეთ ხოლმე. რომ იცოდეთ, ღამეები რა გრძელია! ჯარისკაცები კი ღონიერები და ეშმაკები არიან. სულ ჩხუბი მაქვს მათთან, მაგრამ კაბა რომ მეცვას...

კოშონი. რატომ არ დაუძახებ სამშველად ოფიცრებს!
ეხანა. (პაუზის შემდეგ ყრულ) ჯარისკაცებმა მითხრეს, რომ მათ ჩამოატჩობენ, თუ მშველელს დაუძახებ.

ვარკიკი. (კოშონს) ეს სახიზრობაა. საფრანგეთის არმიის კიდევ ჰო, მაგრამ ინგლისის არმიის ეს როგორ შეიძლება! მე თვითონ მოვუვლი ამ საქმეს.

კოშონი. (დაიკვირება) დაბრუნდი შენი აღმზრდელი ეკლესიის წიაღში, ეხანა, დათანხმდი, ისევ ჩაიცვი ქალურად და მშინ ეკლესია დაგიცავს. სიტყვას გაძღვე, ჩხუბი აღარ დაგპირდება თვე დასცავად.

ეხანა. თუ ასეა, თანახმა ვარ.
კოშონი. (ღრმად ამოიხრუნეს) კეთილი, გმადლობ, ეხანა, რომ დამეხმარე. ერთი წუთით დაგეპქვი, ვაითუ ვერ ვისხნა-თქო. ახლა წაგიკითხვენ უარყოფის აქტს. იგი მზად არის და შენი ხელისმწერის მეტი აღარაფერია საჭირო.

ეხანა. მე წერა არ ვიცი.
კოშონი. არა უშავს, ჯვარს დაუსვამ. ბატონო ინკვიზიტორო, ნება მომეცით მოვიხმო ძმა ლადვენიუ, რათა წაიკითხოს აქტი, რომლის შედგენაც მე მას ვთხოვე. რაკი ეხანა კვლავ დაგებრუნდა, ჩვენ ყველამ ერთად უნდა გამოვიტანოთ განაჩენი. (დაიხრება მისკენ) თქვენ დამაყოფილებული უნდა იყოთ, აღამიანმა თქვა „ჰო“.

ინკვიზიტორი. (თხელ ბუჩუბზე ღიმილის ლანდით) მე დასასრულს ვუძღვი.

კოშონი. (მიღის სენის სიღრმეში და უყვირის ვუშაგებს) მოიხმეთ ძმა ლადვენიუ.

მთხრობელი. (მიღის ისევე ბოროტად) ნუთუ დართავთ ნებას, ბატონო ინკვიზიტორო, რომ მსგავსი რამ მოხდეს?

ინკვიზიტორი. (ხელს შლის) რაკი მან „ჰო“ თქვა...

მთხრობელი. ბატონი ეპისკოპოსო ამ გოგონასადმი ჩემთვის გაუგებარ შეწყნარებას იჩინდა მთელი პროცესის განმავლობაში. სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ ეპისკოპოსი ინგლისის სუფრით იკვებება. ნუთუ ფრანგული სუფრა მეტ საცეებს აძლევს? აი, საყთხავი ეს არის.

ინკვიზიტორი. (ღიმილით) მე კი ამ კითხვას არ ვსვამ, ბატონო მთხრობელო, აქ საქმე საცეები როდია, ეს გაცილებით მნიშვნელოვანია. (აიწყდება თავის მოსაუბრე და იჩოქებს მუხუბუბე) ჰოი, უფალო, თქვენ ინებეთ რამეთუ უქანსკენლ წუთს აღამიანს ამ ქალიშვილში დამეიტრებინა თავი და დაცემულიყო. თქვენ დაუშვით, რომ ამჟერად მას ეთქვა „ჰო“. მაგრამ ადევ დროს, რად დართეთ ნება, რომ აღამიანის გულში, რომელსაც დაეღუბებოთ ქქონდა მისი გასამართლება, ხანგრძლივი ცხოვრებითა და კომპრომისებით მოქანცული აღამიანის გულში სიბრაალული ჩასახულიყო? ნუთუ არასდროს არ ინებებთ, უფალო, რომ ეს ქვეყანა აღამიანურის უქანსკენელი ნიშნაწყლისაგან გათავისუფლდეს და ჩვენ საშუალება მოგვეცეს ხელშეუშლელად მოვმართოთ იგი შენდა საღიღებლად? (შემოვიდა ძმა ლადვენიუ).

კოშონი. ძმაო ლადვენიუ, ეხანა გადარჩენილია. იგი თანახმაა დაბრუნდეს ჩვენი მშობელი ეკლესიის წიაღში. წაუკითხე აქტი უარყოფისა და იგი მოაწერს ხელს.

ლადვენიუ. გმადლობ, ეხანა, მე სულ შენთვის ვლოცულობდი. (ყოხულობს) „მე ეხანა, ჩვეულებრივად ქალწულად წოდებული, ვაღიარებ: ვცოდავდი მედიღრობით, სიჯიუტითა და ბოროტი განზრახულებით, როდესაც ვამტკიცებდი, რომ ანგელოზებისა და წმინდანების სახით გამომეტხნადა უფალი. ვინაიგ, რომ დავარღვიე წესი, ჩავიცივი სამარცხვინო და ჩემი სქესისათვის შეუფერებელი, ჩვენი წმიდა ეკლესიის წესით დაუშვებელი ტანსაცმელი და ქაღალტრობით ვაძულებდი აღამიანებს ეხოცათ ერთმანეთი. მე ვემიჯნები ამ ცოდვებს და ვწყვევლი მათ. წმიდა სახარებას ვფიცავ, აღარ ვატარო ეს სარწმუნოებისაგან გამდგარის სამოსელი და აღარასოდეს

ბელთ არ ავიღო იარაღი. ვაცხადებ, რომ მთლიანად დემოკრატები წმიდა ეკლესიას და ჩვენს წმიდა მამას, რომის პაპს და მის ეპისკოპოსებს, რათა მათ განსაჯონ ცოდვანი და ცთომილებანი ჩემნი. ვიმედრები წმიდა ეკლესიას მიმიღოს თავის წიაღში და ვაცხადებ, რომ მზავა ვარ დავემორჩილო მის მიერ გამოტანილ განაჩენს. დასტურად ამისა ხელს ვაწერ ჩემი სახელით ამ აქტს, რომელსაც გავუცინა. **ჟანა. (როგორც სრულიად დაბნეული პატარა გოგო) რა უნდა და ვესვა, წინ თუ გვიარ? მე ხომ წერა არ ვიცი.**

ლაღვენიუ. მე მოკვიდებ ხელზე ხელს და მოგაწერინებ ცხმათს ხელმწიფრასი).

კოშონი. მოჩხა და გათავდა, ჟანა. ხარობს დედაშენი, რამეთუ შენ დაუბრუნდი მას. ხომ იცი, რომ გზაბნეული ერთი ცხვარი-სათვის უფრო ზრუნავდა იგი, ვიდრე დანარჩენი თთხმოცდაცხრამეტისათვის. სული შენი დასწლია და სხეული შენი ჯალათს არ მივცემა. ვუღწრწყალებით მოგისავეთ პატიმრობა, რათა დარჩენილი დღენი შენი ცხენში დაჰყო. ცოდვება მოსაზანიებლად, სჯამო პურის სიმწიასა და სვა წყალი მშფოთვარებისა, რამეთუ მარტობაში შეძლო მოინახებდა. ამიერიდან შენ აღარ გემუქრება ეკლესიისაგან განკვეთა. შენ შეგიძლია მშვიდობით წახვიდე. (ხელით ვარდასახავს ჟანას) გაიყვანეთ! (რარსკაცებს მიჰყავთ ჟანა. ყველანი დგებიან და ჭკუჭკუჭულად დამჯარნი დაჰმობენ. მიუღებმა ჩვეულებრივი კრების შემდეგი ატმოსფერო).

ვარვიკი. (შიდს, თან ვარდს ყნოსავს) ძალიან კარგია, თქვენო უწმინდესობაჲ, ძალიან კარგი! რაღაც ერთი წუთით ვერ გავგერკოთ, თუ რა უცნაური სიცივე გაიძულვებათ, რაღაც უნდა დაგვადამოდათ გადაგერჩინათ ეს გოგონა. მე უკვე ვეკვობდი, თავისი ხელმწიფის დაღატს, ხომ არ ფიქრობსთჲო.

კოშონი. რომელი ხელმწიფის, თქვენო ბრწყინვალეობაჲ? **ვარვიკი.** (ცობა უფრო მკაცრად) მე ვთქვი თავისი ხელმწიფის-მეთო. ვფიქრობ, რომ თქვენ სელმწიფე ერთი გყავთ. მე იმის შიშით ვმწონდა, რომ თქვენ გამო მისი უდიდებულესობის ხარჯი არ ანაზღაურდებოდა. მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, ჩვენთვის სრულიად საკმარისია მისგან უარყოფა, რათა შარლის ამ არარაობას სახელი გამოუტეხოთ. ამას ის უპირატესობაჲ აქვს, რომ ჩვენ ვგათავისუფლებს ყველა იმ შედეგებისაგან, რაც მოწამებრივ სიკვდილს მოჰყვებოდა. ახლა ადამიანები ისე სანტიმენტალურნი არიან, რომ ძნელია რაიმე გაითუალისწინო. კოცონი და ეს გაუტეხელი, ცეცხლში ვახვეული

გოგონა ერთგვარად ფრანგული სულის ზეიმადაც გამოჩნდებოდა. უარყოფაში კი არის რაღაც უწინეობა. საერთოდ, ეს ძალიან კარგია... (განათება იცვლება, მოქმედი პარტი არ ჩანან. სურამში გუშავს ცხისყენ მთავს ჟანა, შინონის სცენის ყველა პერსონაჲი გამოდის და ეხაზე ელოდება).

აგნესა. (უხალხოება) ჟანა, ძვირფასო ჟანა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავგებარა თქვენმა ვადაჩენამ. მე თქვენ გრლოცავთ.

დედოფალი იოლანდა. სრულებით არ ღირდა სიკვდილი, ჟანა. ცხოვრებაში რასაც აკეთებ, ყველაფერი გონიერული უნდა იყოს. ჩემი საქციელი სხვადასხვაგვარად შეუძლიათ შეაფასონ, მაგრამ მე არასოდეს არაფერი არ გამიკეთებია უმინჯოდ.

აგნესა. პო, მაგრამ ეს მეტისმეტად უპკუობაა. მე ძალიან მიყვარს პოლიტიკური პროცესები და შარლს ყოველთვის ვიხივ ხოლმე, ჩემთვის საეარძელი გამაზადებინოს. ძალიან საინტერესოა იმის ცქება, როგორ ცდილობს კაცო თავის გედაჩენას. ამჭერად, მართალია გითხრა, არავითარი სიამოვნება არ მიმიღია. სულ იმას ვფიქრობდი, რა სულელური არიან-მეთქი! პატარა გოგონა თავს სასიკვდილოდ სდებდა და მერე რისი გულისათვის! (შარლის ხელს ეპოტინება) ხომ იცით, ჟანა, სიციხესე რა მშვენიერია!

შარლი. როცა ჩემი გულისათვის კინაღამ ყველაფერი გააფუქეთ, რა თქმა უნდა. გუნებაში მემამ, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მიმეხედვარებინე, რომ სწორად არ იქცეოდი. ჯერ ერთი, ამ ბებერი მელის, არქიეპისკოპოსის რჩევით წინასწარ მივიღე ზომები და ჩემს ქალაქებში დავგზავნე თქვენი მამხილებელი წერილები. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სულ ვერ ვიტან, როცა ვინმეს ვუყვარვარ და ჩემი გულისათვის ვინმე თავს წირავს. ეს ადამიანს ავადმუშავებს და მე კი ვალდებულემა გასაგონად მეზარება.

ჟანა. (არავის არ უყურებს, ისე ისმენს მათ დაჰმობას და, თითქოს ვერავის ამჩნევს, უცებ წყნარი ხმით) მოუარეთ შარლს, ღმერთმა ქნას, იგი მუდამ ღონეზე და ვეკაცურად იყოს.

აგნესა. მაგას რა ლაპარაკი უნდა, სულელო. მეც იგივე მსურს, რაც შენ. ხომ არ გგონია, რომ ჩემთვის დიდად სასახელოა სულ მუდამ დაჯანბნილი მეფის საყვარლობა? აი, ნახათ, რომ მე ჩემს პატარა შარლს დიდ ხელმწიფედ ვაგებდი, მაგრამ ამის მისაღწევად მე კოცონზე ასვლა როდი დამპირდებია... (ხმაღლა დასძენს) ეს რა და-

სატრამპეტილია, უანა, მაგრამ რაკი ღმერთმა კაცი და ქალი გააჩინა, რას იზამ, მე ლოგინში იმაზე ნაკლები როლი გამიკეთებინებია მისთვის, რასაც თქვენ ომებში აკეთებინებდით.

უანა. (ჩურჩულო) საბრალო შარლი.

აღნესა. საბრალო რით არი? როგორც ყოველი ეგოისტი, ისიც ძალიან ბედნიერია და როცა იქნება დიდი ხელშეწყვეტ გახდება.

ღელღელა იოლანდა. ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ, უანა, ოღონდ თქვენგან განსხვავებული საშუალებებით, მაგრამ თქვენსავით ენერჯიულად.

აღნესა. (მოთითებს უცრის დეოფალზე) მარტო ჩვენ კი არა, მისი პატარა უდიდებულესობაც, ასე არ არის? აგერ, მეორე ვაჟი შესძინა მეფეს. ამის მეტი სხვა არაფრის უნარი აქვს, მაგრამ ამას კი საუკეთესოდ აკეთებს. ახლა ორი ვაჟიდან ერთი კიდევ რომ მოკვდეს, ჩვენ არჩევინად ვართ: ტანტე მემკვიდრე ჰყავს. აი, როგორ დალაგებულად სტოვებ, უანა, საღვანგეთის სამეფო კარს.

შარლი. (აღვიწხვს) აი, ხედავთ? ვერ ვიტან ამ ციხის ჰაერს. საშინელი ნესტია. ნახვამდის, უანა, ნუ გეშინია, ზოგჯერ მოგინახულებთ ციხეში.

უანა. ნახვამდის, შარლი.

შარლი. (გაღიზიანებულ) ნახვამდის, ნახვამდის! ყოველ შემთხვევაში მეფის კარზე თუ კიდევ დაბრუნდებით, თქვენც სხეულით ათქვენო უდიდებულესობა... უნდა მიწოდოთ. მეფედ კურთხევის შემდეგ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. თვითონ ლა ტრემუიცი კი ასე მომშარათავს ხოლმე. ეს დიდი გამარჯვებაა.

(გაღის პატარა ნაბიჯებით, ტანაცმლის შრილით).

უანა. (ჩურჩულებს) მშვიდობით, თქვენო უდიდებულესობავ. მხობარული ვარ, რომ ეს წოდება მაინც დაგიმკვიდრეთ. (აგრძელებს თავის გზას).

(გუშუაგი ტაბურეტამდე მიაცილებს, ისევ იცვლება განათება და უანა ახლა მარტოა ციხეში).

უანა. ჰოი, ბატონო ჩემო, წმიდა მიქელგამბრიელი! ჰოი, ქალბატონებო, წმიდა ეკატერინე და მარგარიტა. თქვენ მე უკვე აღარ მელაპარაკებთ?... რატომ მიმატოვეთ მარტოდმარტო იმ დღიდან, როცა ინგლისელებმა შემიპარეს? თქვენ ჩემთან იყავით, როცა გამარჯვებას ვეზილობდი, მაგრამ ახლა, მწუხარებაში, უფრო საჭირო ხართ ჩემთვის. ვიცი, ადვილია სულ ღვთის იმედით ყოფნა. პირვე-

ლად უფალმა ხელი იმიტომ ჩამკიდა, რომ მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. დრო რომ გავიდა, უკვე დიდად ჩამთვალა. მაგრამ ჯერ არც ისე დიდი ვარ. უფალო, როგორ მიჭირდა ებისკოპოსის ნათქვამის გაგება. ბოროტ კანონიკთან კამათი ისე არ გამძნელებია, მისი გაბრაზება მინდოდა და კრიჰში ვუდექი. მაგრამ ებისკოპოსი ისე დაეყავებოდა მელაპარაკებოდა, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ მართალი იყო. რასაკვირვებელია, თქვენ ასე გეჩვენათ, უფალო! მეერ ვერ ტანჯვისაც შემეშინდა, როცა იმ კაცმა თქვა, რომ მაღლა კერ ამოვიდოდა და ვერ დამახრჩობდა, თქვენ ხომ ნამდვილად გსურდათ, რომ მეცოცხლა? (პაუზა, თვალი ცისკენ აღაპრო, თითქოს პასუხს ელოდეს) კეთილი. ამ კითხვანზე მე უნდა გავცე პასუხი. (პაუზა) იქნებ, მართლაც ამაყი ვიყავი და სხვა არაფერი? ბოლოს და ბოლოს, იქნებ მე მოვიგონე ყველაფერი? ალბათ, კარგი უნდა იყოს მისწვენებელი ცხოვრება, როცა არავითარი მოვალეობა არ გავისრავა და ერთადერთი საზრუნავი გაგაჩნია, როგორმე წუთისოფელი ბოლომდე გაათრიო. (პაუზა, ჩურჩულო) ეს ამბები ჩემს ძალ-ღონეს აღემტება... (ქეთონიო ეშხობა სკამზე).

(ჩქარი ნაბიჯით მოდის ვარჯიცი. მას გუშუაგი მოუძლოდა, რომელიც მაშინვე ტოვებს).

გარვიკი. (ჩერდება და გაოცებული უცქირის უანას) თქვენ ტირით?

უანა. (გამბარება წაღში) არა, თქვენო ბრწყინვალეება.

გარვიკი. მოსალოცად მოვედი. საერთოდ სასამართლო კარგად დამთავრდა. სწორედ ახლა ვეუბნებოდი კოშონს — ბედნიერი ვარ, რომ კოცონზე დაწვას გადაჩრით. თქვენდამი ჩემი პირადი სიმბათიაც რომ დავივიწყოთ, დაწვა თავისთავად საშინელი სატანჯველი იქნებოდა. ტანჯვა კი მუდამ უაზრობაა და სიმახინჯე. მე ვფიქრობ, ჩვენთვის ყველასათვის უმჯობესია, რომ წამება ავცდათ. გულწრფელად გილოცავთ. უბრალო წარმოშობის მიუხედავად თქვენ მეტად კეთილშობილი რეფლექსები გაქვთ. ჩენტლმენი მუდამ მზად უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში თავისი ღირსების ან მეფის გულისათვის თავი გასწიროს. სულ არაფრისათვის თავს სასიკვდილოდ სწირავენ მხოლოდ დაბალი წარმოშობის ადამიანები, დიდი სიამოვნებით ვადევნებდი თვალს, როგორ გაათამაშეთ ის ინკვიზიტორი. ბნელი პროცენება ჩანს! არავინ ქვეყნად ისე არ მძულს, როგორც ეს ინტელიგენტები. რა საწინდარი ცხოველები არიან ეს

სტულადმდნარი ადამიანები! მართლა ქალწული ხართ?

ქ ა ნ ა. დიახ.

ვ ა რ ვ ი კ ი. ქალი, რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარად ილაპარაკებდა. ჩემი საცოლვე უბნო ქალიშვილია ინგლისში. ისიც სულ ასე მსჯელობს, ბიჭოვით. ისიც თქვენსავით კერპია და არავის არ უჩერებს. ინდოელები ამბობენ, ქალწულს წყალზე გავლა შეუძლიათ. (ციხის) მაგრამ ვნახთ, როგორ შეძლებს იგი ამას, როცა ლდი ვარჯიეი გახდება. ქალწულობა სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობაა. ჩვენ მას ვაღმერთებთ, მაგრამ საუბედუროდ, როგორც კი ქალწულს დავინახავთ, მაშინვე გვიჩნდა იგი ქალად ვაქციოთ და ამავე დროს ისიც ვვსურს, რომ სასწაული ვაგრძელდეს. ჩვენ გიყვები ვართ! ეს ომი რომ დამთავრდება, და მე იმედი მაქვს, რომ ეს მალე იქნება (ხომ იცით თქვენი პატარა შარლი ახლა უკვე მთლად ნოკაუტრირებულია), დიახ, ეს ომი რომ დამთავრდება, ინგლისში დავბრუნდები და ამ სიყვებს ჩავიდნე. ვარჯიეების ციხე-ქალაქი საცხოვრებლად მშვენიერია. არც ძალიან დიდია, არც ძალიან პირქუში, მაგრამ ლამაზი კი ძალიანაა. იქ მე საუბეთესო ცხენები მოვაყვანე. ჩემმა საცოლემ საუცხოოდ იცის ცხენზე ჯდომა, მთლად თქვენსავით არა, მაგრამ მაინც საუბეთესოა. ჩემს ციხე-ქალაქში იგი ბედნიერი იქნება. მეღობებზე ვინადირებთ, ლამაზ დღესასწაულებს მოვაწყობთ... ვნახობ, რომ ესოდენ ბევრი უსიამოვნო ვარჯიეობა ნებას არ მძლავს იქ მოგვიპატიოთ. (უხარხული პაუზა და ამთავრებს) სულ ეს არის. მე მსურდა თავაჯიანობის ამ ხანმოკლე ვიზიტით თქვენთან მოსვლა... აი, ისე, როგორც მატჩის შემდეგ იციან ერთმანეთის ხელის ჩამორთმევა. ვიმედოვნებ, რომ თავი არ შეგაწყენით. ჩემი ჭარისკაცები ახლა წესიერად იქცევიან?

ქ ა ნ ა. დიახ.

ვ ა რ ვ ი კ ი. თქვენ ალბათ ეკლესიის საბატიმროში გადაიყვანენ. იმ მცირე დროის განმავლობაში, რასაც თქვენ აქ დაჰყოფთ, უმნიშვნელო თავებობაც რომ შეამჩნიოთ ჩემს ჭარისკაცებს, მაშინვე მაქცნობთ და ნაძირალს საჩრთებელა არ აცდებთ. ჩვენ, რასაკვირველია, ქენტლმენების არმია არასოდეს არ გუყოლია, მაგრამ წესიერება უნდა დავიცვათ. (თავს უკრავს) ქალბატონო... (მიდის გასასვლელსაკენ).

ქ ა ნ ა. (ციხის) თქვენი ბრწყინვალეობა!

ვ ა რ ვ ი კ ი. (შემობრუნდება) დიახ?

ქ ა ნ ა. (არ უუბრებს, ისე ყითხება) როგორც ჩანს, აჯობებდა რომ დავეწვი.

ვ ა რ ვ ი კ ი. მე უკვე გითხარით, რომ ჩემი მთავრობისათვის უარყოფის აქტი დაწვას უთანაბრდება.

ქ ა ნ ა. მაგრამ ჩემთვის?

ვ ა რ ვ ი კ ი. ეს მხოლოდ უსარგებლო წამება იქნებოდა. რალაც ძალზე მახინჯი. არა, ნამდვილად არ აჯობებდა, მე თქვენ ვარწმუნებთ. ეს ცოტა არ იყოს ვულგარული იქნებოდა, მდამბური სიმბრიყვე — გინდა თუ არა მოიკლა თავი, რათა ყველას გამოშვებულ უყვირო შეურაცხყოფელი სიტყვები კოცონიდან.

ქ ა ნ ა. (წყნარად, თითქოს თავისთვის) ჰო, მაგრამ მე ხომ უბრალო ხალხის შვილი ვარ. მე ხომ უტკუო ვარ. მე არც ცხოვრება მაქვს, ბატონო, თქვენსავით ლამაზი. მე თქვენებრ იოლად, გამართულად როდი ვცხოვრობ. ომებში, ნადირობასა და ლამაზ საცოლესთან დროსტარებაში როდი ვკლავ დროს. რალა დარჩება ჩემგან, მე თუ ქანა აღარ ვიქნები?

ვ ა რ ვ ი კ ი. უნდა ითქვას, ისინი კაი დღეს არ დაგაყენებენ, განსაკუთრებით დასაწყისში, მაგრამ ხომ იცით, დრო გავა, ყველაფერი მოწესრიგდება.

ქ ა ნ ა. (ჩუჩხულით) მაგრამ მე არ მინდა, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს. მე არაფრად მინდა ასეთი სიცოცხლე... (წამოღება, მთავრებულით შორს იყურება) წარმოგიდგენიათ, ქანა ისეთ სიცოცხლეს თხოულობდეს, რომელშიაც ყველაფერი მოწესრიგებული იქნება, ქანა თავისუფალი იყოს და იქნებ საფრანგეთის კარზე მცირე პენსიაც ჰქონდეს?

ვ ა რ ვ ი კ ი. (გაბრაზებული) მე თქვენ გუუბნებთ, რომ ნახევარწლიწადში აღარავითარი საფრანგეთის კარი აღარ იქნება.

ქ ა ნ ა. (არ იცის იტირის თუ იციანს) ქანა ყველაფერს შეუტირდა... დასქელდა... კი სიმა-ჰამას მიეჩვია... თქვენ წარმოგიდგენიათ ქანა — ძვირფასი ქულით მორთული, კობტა ტანისამოსით მოკაზმული, თავის პატარა ძალზე ან ფეხდაფეხ ლანდივით ადევნებულ ქმარზე მზრუნველი ქანა?... და ვინ იცის, ეგებ გათხოვილი ქანაც?..

ვ ა რ ვ ი კ ი. რატომაც არა? ყველაფერს დასასრული აქვს. მე თვითონ ცოლის შერთვას ვაპირებ.

ქ ა ნ ა. (ფერის, შეცვლილი ხმით) მაგრამ მე დასასრული არ მინდა, ყოველ შემთხვევაში ამგვარი დასასრული. მე ბედნიერი დაბოლო-

ეზა არ მინდა, (გაიმართება, ყვირის) უფალო ჩემო, წმიდაო მიქელგაბრიელო, წმიდაო მარგარიტა, წმიდაო ეკატერინე. თქვენ ახლა დღე-ღამე ხართ, მაგრამ მე მხოლოდ იმ დღეს დავიბადე, როცა თქვენ გამოვლანარაკეთ. მე იმ დღეს გავცოცხლდი, როცა ცხენზე ამხდრებულმა და ზელში ხმალდაბლუჯულმა თქვენი დავალება შევცასრულე. აი, ეს იყო ყანა, მხოლოდ ეს! და არა ის, მონასტერში რომ დასქედებოდა, გადამკრთალდებოდა და სისულელების ყებულობაში ენად გაცივრივებოდა, ან ციხიდან გათავისუფლებული სადმე თბილ ადგილას მოეწყობებოდა და ცხოვრებას შეეგუებოდა. თქვენ ხმას არ მცემთ, მეუფენო, ეს ზუცესები კი ერთად შეყაყანებოდნენ და კითხვებით მანებენდნენ. მაგრამ წმიდა მიქელგაბრიელის პირით თქვენ ერთხელ გამომიცხადეთ, როცა ჩვენ ველმეართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ნლობას გიცხადებთ და შენ განდობთ გადაწყვეტილების მიღებასო. (თითქმის უცებ გაიზარდა) რაკი ასეა, მეუფენო, მე ვღებულობ გადაწყვეტილებას. მე თქვენთან ვბრუნდები იმავე ყანად, როგორც ვიყავი და როგორც საუკუნოდ დავრჩები. დაუძახე შენს ჯარისკაცებს, ვარგის, საჩქაროდ დაუძახე. მე უკანვე მიმაქვს უარყოფა! უარს ვამბობ ჭაღურ ტანსაცმელზე, მათ კიდევ გამოადგებათ გამართული კოცონი, მათ კიდევ ელით ზეიმი!

ვ ა რ ე ე ი. (სიწინაღობით) გთხოვთ, საჭირო არ არის ეგ უგუნურება. მე თქვენ გითხარით, რომ სრულიად დაკმაყოფილებული ვარ და წიმიების ყურებას ვერ ვიტან. მე თქვენი სიკვდილის ცქერა არ შემეძლია.

უ ა ნ ა. გამბედაობა უნდა მოიკრიბოთ. მაგ სანახაობის ცქერა არ ავცდებთ, (ღაინახა, როგორ გაფიქრდა, მხრებში ხელს ჩაავლებს) შენ მარინკა კაი კაი ხარ, შენი ჭენტომენური სიფათის მიუხედავად, მაგრამ აქ ველარაფერს ვერ გააწყობ. მე და შენ ერთი ჯიშისანი არა ვართ! (მოულოდნელად ლოყაზე ხელს მოუთათუნებს, ყვირით გამოდის) ჯარისკაცებო! ჯარისკაცებო! ჰეი, ინგლისელებო, უკანვე დამბრუნეთ ვაფური ტანსაცმელი და შარავალს რომ ჩავეცემა, ხუცესები მოიხმეთ. (გაღის).

ვ ა რ ე ე ი. (მარტოდ დარჩენილი ლოყას იქმენდს და ჩურჩულით) რა უადგილოა ეს ამბავი... და რა ეულგარული... არა, ფრანგებთან არ ღირს საქმის დაქერა. (უცებ გაისმის ყვირილი).

- სიკვდილი ჭადოქარს!
- დაწვით ურწმუნო!

- სიკვდილი!
- სიკვდილი!
- სიკვდილი!

(ყველა მოქმედი პირი ხელს ავლებს ფიხს; ყვირიან, მოითხოვენ სიკვდილით დასჯას. ორი ინგლისელი ჯარისკაცის დახმარებით ქალათი მოათრებს ყანას. მათ უკან მიჰყვებათ გაფიქრებული ლადვენით.

ყველაფერი სწრაფად და ტლანქად ხდება, როგორც მკვლელობის დროს. მნიშვნელობა არა აქვს ვისი დახმარებით, ვეგ მთხრობელის დახმარებითაც, ქალათი კოცონს მართავს სცენაზე მდგარი სკამებისაგან. ყანას აიძულებენ შედგეს ზედ და მიამაგენ წარწერიან ბოძზე).

(ბრბო ყვირის).

- ძელზე კუდიანი!
- ძელზე!
- თავი გადახორჩეთ ჯარისკაცების კახპას!
- ძელზე!
- ძელზე!
- დაწვით!

ვ ა რ ე ე ი. (აღშფოთებით) რა უგუნურებაა! რა უგუნურებაა! რა პირად გვინდა მთელი ეს წარმოდგენა!

უ ა ნ ა. (ყვირის კოცონზე) ჯვარი! შემობრალეთ, მომეცით ჯვარი! მთხრობელი. არავითარი ჯვარი ჭადოქარს!

უ ა ნ ა. გვედრებით, მომეცით ჯვარი!

კ ო შ ო ნ ი. (ლაღვენულს) ლადვენით, ჩქარა! გაიქციე ეკლესიაში. (ლაღვენით გარბის).

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი. (ინკვიზიტორს) ეს უკანონობაა, რატომ პროტესტს არ აცხადებთ, ბატონო ინკვიზიტორო?

ინ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ი. (გაფიქრებული უცქერის ყანას) ჯვრით იქნება თუ უჯვროდ, სულ ერთია, ოღონდ ჩქარა ჩაჩუმდეს! ხედავთ, ბრძოლაში გვიჩვევს კოცონიდან! ნუთუ ვერასოდეს ვერ უნდა ვძლიოთ! (უკანა). (ყვირის) ჯვარი, მომეცით ჯვარი!

(ინგლისელი ჯარისკაცი იღებს ორ ჯოხს, გადაჟვარედინებს და უწვდის).

ჯ ა რ ის კ ა ე ი. დაიჭი, შეილო! ეს მღვდლები ყველა ამოვიღებ. ბოლოს და ბოლოს მასაც ისეთივე უფლება აქვს ჯვრის მოთხოვნისა, როგორც ყველა სხვას.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი. (ცემა ჯარისკაცს) იგი ღვთის მგმობელია, მე შენ გიკრძალავ.

ჯ ა რ ის კ ა ე ი. (ხელს კრავს) წადი, შენი...

უნაღეს ჯარის სახელ გამოყვანილ ჯოხებს, ეანა მუღში ისუტებს და კო-

მთხრობელი. (მოვარდება ვარჯის) თქვენო აღმატებულებამ,
ეს ჯარისკაცი უნდა შეიპყროთ და დასჯოთ, როგორც ღვთის უარ-
მყოფელი. მე მოვითხოვ, რომ იგი ასლავე შეიპყროთ!

ვარჯიკი. გული ნუ გამიწყალეთ. ასეთი ჯარისკაცი მე რეაისი
მყავს. ყველა ერთიმეორეზე ღვთის უარყოფელია. ისინი ჩემი ჯა-
რისკაცები არიან, ბატონო ჩემო. და მე მათთან ერთად ვივარდობ.

ინკვიზიტორი. (ჯალათს) აბა, ჩქარა დაანთე, კვამლმა ისე
დაფაროს, რომ აღარ ჩანდეს. (ვარჯის) უნდა ვიჩქაროთ, ბატონო, თო-
ღმა ხელი წუთის შემდეგ ყველა მის მხარეზე იქნება!

ვარჯიკი. ვწმინდობ, რომ უკვე ყველანი მის მხარეზე არიან.
(მოიხრება დაღვინო ჯარით).

მთხრობელი. (ვაპოვის) არ მისცე ჯვარი, ძმაო ლადენიუ!
კოშონი. დაესხენით. კანონიკო, მე თქვენ გიბრძანებთ!

მთხრობელი. მე თქვენ რომის უმაღლეს სისამართლოში
გინივლებთ!

კოშონი. თქვენ შეგიძლიათ თუნდაც ეშმაკთან მიივილოთ.
მაგრამ აქ მე ვიძლევი განკარგულებებს.

(ყოველივე ზეგმა სწრაფად, დესხესით, იმპროვიზირებულად და სმარტებო-
ნოდ, როგორც პოლიციის თავდასხმისას).

ინკვიზიტორი. (ნერვიოზად, მიზრბის, ხან ერთთან, ხან მეორეს-
თან) დავაჩქაროთ! დავაჩქაროთ!

ლადვენიუ. (ხელს კოცნის) გამაგრდი, ეანა! ჩვენ ყველანი
შენთვის ვლოცულობთ!

ეანა. გმადლობთ. ძმობილო, ჩადი, თორემ ალი მოგწვდება
და გატრუსავს.

ინკვიზიტორი. (გელორ იძიებს, უყვირის ჯალათს) რას შერებო
შენ მანდა, კოდეც დიდხანს მოუნდები?

ჯალათი. (სამოხის) მზად არის ბატონო, აინთო, ორიოდე წუ-
თი და ალი მისწვდება!

ინკვიზიტორი. (შეუბნის ოპერით) მადლობა დმერთს!
კოშონი. (ყვირილით იჩივებს) უფალო, მომიტევე!

(მოდო ანუშებს, ყველანი იჩივებს) და იწყებენ სულთანას, ერთადერთ
მთავარს დასსახეზე მძღუარებადღევილი. კოშონი უყვირის მთხრობელს)
დაიწმინდე. კანონიკო!

(მთხრობელი თვალს მოაქვებს) იქარობას მსახეში გახმული მხეცეთით ღ-

ინკვიზიტორი. (ვერ ბედებს შეზღუდას, ეკითხება გვერდით მდგარ
ლადვენოს, რომელიც ჯარის უწყდის ეანას) იგი პირდაპირ ისელება?

ლადვენიუ. დიახ, ბატონო!

ინკვიზიტორი. ისევ ისე მტკიცედ?

ლადვენიუ. დიახ, ბატონო!

ინკვიზიტორი. (ზულნატყენი) და მის ბაგვებზე ღმილია აღ-
ბეჭდილი?

ლადვენიუ. დიახ, ბატონო!

ინკვიზიტორი. (გულაბეხილი თვის ხრის, ყრუ ხმით) ვერა-
სოდეს ვერ შევძლებთ მის დამარცხებას!

ეანა. (იწყებს ოცნებას, ჩურჩულებს) ჰოი, რუანო, რუანო! ნუთუ
შენ იქნები ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი? (ვენესის) ო, იესო!

აგნესა. (უთხეში ღვას შარლთან და დედოფალთან ერთად) საბრა-
ლო, პატარა ეანა! რა უგუჟურებაა! წარმოგიდგენიათ. იგი უკვე იტ-
ანჯება.

შარლი. (შუბლს იწმენდს და თვალს არიდებს) ეს მართლაც უსი-
ამოვნო წუთებია!

(სულთანას ლოცვის ხმა ყველაფერს ფარავს. უცერად სცენის სიღრმი-
დან ქლოშინით შემოვარდება ბოდრიკური, გზადაგზა ყველას ეყახება და წინ
ისე მოიწვეს).

ბოდრიკური. (ყვირის) შეჩერდით, შესწყვიტეთ!
(ყველანი წამოხტენ, დახვედლობის წუთი. ყვირილი ბრბოდა)

— რაო?

— რა შესწყვიტეთ?

— რას ამბობს?

— ნამდვილად გიყია!

ბოდრიკური. უჰ! კარგ დროს მოვეუსწარი! (უყვირის კოშონს)
ამით გათავება არ შეიძლება, თქვენო უწმინდესობავე, ჯერ სომ მე-
ფის კურთხევა არ გაკეთაშაშა! სომ შევთანხმდით, რომ ყველაფე-
რი უნდა გაგვეთამაშა! ეს უსამართლობაა! ეანას მეფის კურთხევის
უფლება აქვს. ეს სომ მის თავგადასავალში შედის!

კოშონი. (შეშფოთებული) სწორია! კინაღამ უსამართლობა ჩა-
ვიდინეთ.

შარლი. აი, სომ ხედაეთ! დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს
მეფედ კურთხევას დაიციყებდნენ. ჩემი მეფედ კურთხევა აღარა-

ვის ასსლო, მერე რა ძვირად დამიყდა!

ვარჯიკი. (შეშფოთებული) გეყოფათ! გეყოფათ! ახლა კიდევ

მეფედ კურთხევა მომთხოვეთ. ეს ხომ ნამდვილად ცუდი გემოვნების გამომჟღავნება იქნება. თქვენო უწმინდესობავ, ჩემი დანაშაულები მაგ ცერემონიაზე უღირსი საქციელი იქნებოდა, მე მივდივარ. ჩემთვის ჟანა დამწვარია და ყველაფერი გათავებულია. მისი უღებულესობის მთავრობის მიზანი მიღწეულია (გაღის).

კოცონი. (უყვირის ჯალათს) ჰეი, ჯალათო, მოაშორე ცეცხლ შეხსენი ჟანას თოკი. ახლავე მოუტანონ ხმალი და დროშა!

(ყველანი სიხარულით შლიან კოცონს, აშორებენ ფიჩხის კონებს. შარლი, რომელსაც მეფედ საკურთხებლად კანმავენ, ავანსცენაზე გამოდის).

შარლი. ეს კაცი მართალია. ჟანას თავგადასავალს ჭეშმარიტად არ ექნება დასასრული. მის თავგადასავალს უკუნითი უკუნისამდე გადასცემენ ერთიმეორეს, ხოლო ჩვენს სახელებს კი დაივიწყებენ. რუანში შემწყვდელი პატარა არსების სიკვდილი დაბოლოება არ ვარგა. ჟანას თავგადასავლის ნამდვილი დაბოლოება სასიხარულოა! ეს რეიმსში დიდებით ამალღებული ჟანაა! იგი ცაში აფრენილი ტოროლაა! ჟანას თავგადასავალი არის თავგადასავალი ბედნიერი დაბოლოებით!

ბოდრიკური. (კმაყოფილი ეხმარება დანარჩენებს კოცონის დაშლაში) კიდევ კარგი, რომ დროზე მოვუსწარი... ამ შტერებს ჟანა დარკის დაწვა უნდოდათ! არა. ეს როგორ იფიქრეს!

მამა. (რომელიც სხვებთან ერთად კოცონს შლის, ჟანას მამა გაინძვრი და ცხვირიდან თითები გამოიღე! მაგალითი აიღე დისგან შეხედე, რა პატივს ცემენ! ასეთი ქალიშვილი მამის სიამაყეა! მე სუვა მამობდი, ამ გოგოს დიდი მომავალი ექნება-თქო...

(სცენის სიღრმეში, კოცონის ადგილას, ფიცრებისაგან უცებ აღმართეს კურთხეველი. გაისმის ზარების რეკვა და ორღანის მუსიკა. ეწყობა კორტეჟი. შარლი მოუძღვის, ცოტა უკან ჟანა, შემდეგ დედოფლები, ლა ტრემუი და ა. შ. პროცესია საკურთხევლისაკენ მიემართება. ყველანი იჩოქებენ. მართო ჟანა რა ბა ფეხზე. წელში გამართული უყურებს ზეცას, როგორც ეს სურათებშია გამოსახული, არქიეპისკოპოსი გვირგვინს ადგამს შარლს... ორღანის საზეიმო მუსიკა ზარების რეკვა, საარტილერიო სალუტი, მტრედების აფრენა და ეგებ სინათლე ეფექტებიც ქმნიან ეკლესიის ვიტრაჟების ილუზიას და სახეს უცვლიან დეკორაციას.

ბეჯით მოსწავლეთა წიგნებიდან გაღმოსულ ამ ჩვენებაზე ნელ-ნელა ეშვება ფარდა).